



9

პროლეტარებო
ყველა
ქვეყნისა,
შეერთდით!



საქართველოს

საბჭოთა

სოციალისტური

რესპუბლიკის

№ 13

1981

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოსემა

თბილისი

16910

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის



უმაღლესი საბჭოს
უწყებები

№ 13 (493)

ნოემბერი

1981 წელი

შ ი ნ ა რ ს ი

განყოფილება პირველი

საქართველოს სსრ მათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის მიერ მიღებული კანონები და დადგენილებები

- 287. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლების სახელმწიფო გეგმის შესახებ.
- 288. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1982 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ.
- 289. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.
- 290. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ 1982 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.
- 291. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ 1980 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ.
- 292. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ.
- 293. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების შესახებ.



294. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევის წესის შესახებ.
295. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი „საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის, „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონისა და „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე.
296. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი დეპუტატ ჯ. ი. პატიაშვილის ინფორმაციის თაობაზე.
297. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ სამრეწველო საწარმოებში მუშა-მოსამსახურეთა დათხოვნისას შრომის კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის მდგომარეობის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობის კომისიის ინფორმაციის შესახებ.
298. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „საქართველოს სსრ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, ორგანიზაციებისა და თანამდებობის პირთა აღმებისა და ვიმპლების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.
299. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „საქართველოს სსრ მოქალაქედ მიღების წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.
300. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „საკომუერნეო ბაზრებში ერთჯერადი გამოსაღების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.
301. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების თაობაზე.
302. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ ზოგიერთი სახელმწიფო ორგანოს გარდაქმნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცებისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე.
303. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი წევრის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე.
304. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი დეპუტატების რ. ორაგველიძის, დ. მოსესოვის, ნ. კაკაბაძის, გ. მეტონიძის და თ. შიტუხინის მიერ შეკითხვის წესით დაყენებულ საკითხზე.
305. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი დეპუტატ ბ. ბ. ტეხოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.



306. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი დებუტატ ი. ნ. ორჯონიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

ბანყოფილება გეორია

- 307. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშხ. ა. პ. კეკელიძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
- 308. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშხ. დ. ს. წიკლაურისათვის „საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ
- 309. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.
- 310. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშხ. თ. დ. ჩხაიძისათვის „საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.
- 311. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკთათვის საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.
- 312. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის მუშაკთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.
- 313. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
- 314. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშხ. ა. ს. შერვაშიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
- 315. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშხ. ს. ი. ჩოჩიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
- 316. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
- 317. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშხ. ვ. ვ. სალტიკოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
- 318. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
- 319. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშხ. დ. ა. ბუღეიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

320. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშხ. ნ. ა. მთელიძის რიგის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
321. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საკავშირო პროფ-საბჭოს ქ. თბილისის შრომის დაცვის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
322. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
323. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
324. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშხ. რ. გ. გურგენიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
325. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშხ. მ. ა. მჭედლიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
326. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშხ. ო. ი. ღლონტის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
327. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშხ. გ. ი. გვეტაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
328. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სოხუმის პ. ს. ჯაფარიძის სახელობის სამედიცინო სასწავლებლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
329. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აშხ. ჭ. ი. ამირეჯიბის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ბანყოფილება მისამი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

განყოფილება პირველი

საქართველოს სსრ მათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მი-
 მოთხე სესიის მიერ მიღებული კანონები და დადგენილებები

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

287 საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარა-
 ბის 1981-1985 წლების სახელმწიფო გეგმის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
 ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარ-
 მოდგენილი საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების
 1981-1985 წლების სახელმწიფო გეგმა, რომელიც განაწილებულია ზუთწლე-
 დის წლების, საქართველოს სსრ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტე-
 ბის, უწყებებისა და ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის, ქალაქებისა და
 რაიონების მიხედვით და შემუშავებულია სკკპ XXVI ყრილობის მიერ დამტ-
 კიცებული სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-
 1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებების შესა-
 ბამისად.

მუხლი 2. დადგინდეს საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური
 განვითარების 1981-1985 წლების სახელმწიფო გეგმის შემდეგი ძირითადი
 მაჩვენებლები:

	(პროცენტობით 1980 წელთან შედარებით)				
	1981 წ.	1982 წ.	1983 წ.	1984 წ.	1985 წ.
რესპუბლიკის ტერიტორიაზე წარ- მოებული ეროვნული შემოსავალი	105,5	112,1	117,1	124,4	134
მრეწველობის პროდუქცია სულ	105	109,5	115	122	131
აქედან:					
წარმოების საშუალებათა წარმოება	103,8	109,1	114,8	123,1	130,2
მოხმარების საგნების წარმოება	104,6	109,7	117,2	122,2	132,4
სახელმწიფო კაპიტალური დაბანდე- ბანი რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში	107,1	107,1	103,6	102,3	103,9
საერთო სარგებლობის სააქტიმო- ბილო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა	106,1	114,6	123,1	131,6	140,1

(პროცენტობით 1980 წელთან შედარებით)

	1981 წ.	1982 წ.	1983 წ.	1984 წ.	1985 წ.
შრომის ნაყოფიერება რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობაში	103,5	106,9	124,4	118,8	126
მოგება რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებისა და ორგანიზაციების სამრეწველო საქმიანობიდან	114,6	121,6	127,7	138,3	160,9
რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე	104,6	107,7	110,9	115,4	120
სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა (შესაღარ ფასებში)	101,8	110	117	124,6	132,7

1981-1985 წლებში სოფლის მეურნეობის წარმოების საშუალო წლიური მოცულობა წინა ხუთწლეულთან შედარებით გაიზარდოს 22 პროცენტით. ხუთწლეულში შრომის ნაყოფიერების საშუალო წლიური დონე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ამალდეს 30 პროცენტით.

უზრუნველყოფილ იქნეს აგროსამრეწველო კომპლექსის დარგების პროპორციული განვითარება და მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება.

მუხლი 3. სკვპ XXVI ყრილობის მიერ მიღებული სოციალური განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების პროგრამის შესრულების მიზნით ხუთწლეულში უზრუნველყოფილ იქნეს:

წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის საფუძველზე მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასის გადიდება 13,4 პროცენტით და კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება კოლმეურნეობების საზოგადოებრივ მეურნეობაში — საშუალოდ 18,1 პროცენტით;

მონმარების საზოგადოებრივი ფონდების გაზრდა 28,5 პროცენტით. გაძლიერდეს ამ ფონდებიდან მოსახლეობისათვის მიცემული დახმარებებისა და შეღავათების როლი საწარმოო და სოციალურ-დემოგრაფიული პრობლემების გადაწყვეტაში;

2,61 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლების საექსპლუატაციოდ გადაცემა, საბინაო მშენებლობის ხარისხის ამაღლება, საბჭოთა ადამიანების საბინაო პირობების გაუმჯობესება.

სკვპ XXVI ყრილობის მიერ დამტკიცებული სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად მეურნეობებში ხუთწლეულში განხორციელდეს ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების შემდეგი ღონისძიებანი:

თანდათანობით გაიზარდოს მუშა-მოსამსახურეთა მინიმალური ხელფასი თვეში 80 მანეთამდე, განაკვეთები და სარგოები, უწინარეს ყოვლისა სახალხო

მეურნეობის საწარმოო დარგებში, პირობების შექმნისა და რესურსების დაგროვების კვალობაზე;

ცალკეულ დარგებში კიდევ უფრო გაიზარდოს შრომის დამატებითი ანაზღაურების ოდენობა ღამით მუშაობისათვის;

დაწესდეს კოლმეურნეებისათვის ყოველწლიური ფასიანი შვებულების მინიმალური ხანგრძლივობა მუშა-მოსამსახურეთა მინიმალური შვებულების დონეზე;

გაუდიდდეთ სახელმწიფო დახმარება ბავშვებიან ოჯახებსა და ახლად დაქორწინებულებს; გაუმჯობესდეს ბავშვთა კვება და მომსახურება სკოლამდელთა დაწესებულებებში, სკოლა-ინტერნატებში, სკოლებთან და საბავშვო სახლებთან არსებულ ინტერნატებში; დამთავრდეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეებისათვის სახელმძღვანელოთა უფასო მიცემის შემოღება;

კიდევ უფრო გაუმჯობესდეს მომუშავე ქალთა შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების პირობები. დაწესდეს, დადგენილ ვადებში, ზომუშავე ქალებისათვის ნაწილობრივ ანაზღაურებული შვებულება ერთი წლის ასაკის მიღწევამდე ბავშვის მოვლისათვის. გაფართოვდეს მომუშავე ქალთა შეღავათები ბავშვების შობასთან და აღზრდასთან დაკავშირებით. მცირეწლოვანბავშვებიან ქალებს მიეცეთ შესაძლებლობა იმუშაონ არასრული სამუშაო დღე ან არასრული სამუშაო კვირა, სრიალა გრაფიკით, აგრეთვე შინ;

დაიხვეწოს სოციალური უზრუნველყოფის სისტემა; ამიღდეს პენსიების მინიმალური ოდენობა მუშათა, მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა ასაკისა და ინვალიდობის მიხედვით, აგრეთვე პენსიები მარჩენალის დაკარგვის გამო, გათვალისწინებულ იქნეს კოლმეურნეთა და სახელმწიფო საწარმოების მუშაკთა სოციალური უზრუნველყოფის პირობების შემდგომი გათანაბრება. უზრუნველყოფილ იქნეს წინათ დანიშნული პენსიების ოდენობათა თანდათანობითი მიაზღობა იმ პენსიების დონესთან, რომლებიც ამჟამად ენიშნებათ ანალოგიური პროფესიისა და კვალიფიკაციის მუშაკებს;

კიდევ უფრო გაუმჯობესდეს დიდი სამამულო ომის მონაწილეთა და დაღუპულ მეომართა ოჯახების ცხოვრების პირობები. მეტად ვიზრუნოთ შრომის ვეტერანებისათვის;

გავრძელდეს სახელმწიფო შინაგანი სესხის დაფარვა.

უზრუნველყოფილ იქნეს მუშაკთა, მათ შორის მცირეხელფასიან მუშაკთა ხელფასის ზრდა ხელის, ნაკლებკვალიფიციური შრომის შემცირების, კვალიფიკაციის ამაღლების, პროფესიათა შეთავსებისა და მაღალი შრომითი შედეგების მიღწევის საფუძველზე.

გაძლიერდეს თითოეული მუშაკის ხელფასისა და პრემიების დამოკიდებულება მის პირად შრომით წვლილსა და კოლექტივის მუშაობის საბოლოო შედეგებზე. ამიღდეს მათი მასტიმულირებელი როლი შრომის ნაყოფიერების გადიდებაში, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასა და ყველა სახეობის რესურსების მომჭირნეობაში. სრულყოთ სატარიფო სისტემა და შრომის ნორმირება.



თანამიმდევრულად გატარდეს ძირითადი სასურსათო და არასასურსათო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფის ხაზი.

ამაღლდეს მოსახლეობის სამედიცინო და საყოფაცხოვრებო მომსახურების დონე და ხარისხი, განვითარდეს სახალხო განათლების სისტემა, გაუმჯობესდეს კულტურის დაწესებულებათა საქმიანობა.

1981-1985 წლებისათვის დაწესდეს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის შემდეგი მაჩვენებლები

	(პროცენტობით 1980 წელთან შედარებით)				
	1981 წ.	1982 წ.	1983 წ.	1984 წ.	1985 წ.
მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა ბავშვთა რიცხვი სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ რესპუბლიკური დაკვეთილებების სკოლამდელ დაწესებულებებში	106,8	115,5	125,5	136,4	148,3
მოსწავლეთა რიცხვი გახანგრძლივებული დღის სკოლებსა და ჯგუფებში	105,2	108,4	112,9	117,5	122
სავადმყოფო საწოლების რიცხვი	103	111,9	121,3	130,6	139,9
	102,1	104	106,7	108,4	111,1

მუხლი 4. დაუმტკიცდეს ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლების სახელმწიფო გეგმის შემდეგი ძირითადი მაჩვენებლები ავტონომიურ რესპუბლიკებს, ოლქს, ქალაქებს თბილისსა და ქუთაისს:

	მრეწველობის პროდუქცია 1985 წ. პროცენტობით 1980 წელთან			
	მთელი მრეწველობა ტერიტორიაზე	საკავშირო რესპუბლიკური და რესპუბლიკური სამინისტროების და უწყებებისა	სახელმწიფო კაპიტალური დახარჯებაში და რეზულ მრეწველობა 1981-1985 წლებში პროცენტობით 1976-1980 წლებთან	სახელმწიფო და კოლექტიური კაპიტალის საცალო საქონელბრუნვა 1985 წელი პროცენტობით 1980 წელთან (შესაღარ ფასებში)
აფხაზეთის ასსრ	126	125	119	133
აჭარის ასსრ	121	124	140	131
სამხრეთ ოსეთის ა/ო	168	163	130	130
ქ. თბილისი	131	123	114	134
ქ. ქუთაისი	123	119	133	131

დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლეს საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს დაამტკიცონ შესაბამის სესიებზე ავტონომიური რეს-

პუბლიკების, ოლქის, ქალაქებისა და რაიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წწ. გეგმა.

მუხლი 5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს სსრ სამინისტროებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა და უწყებებმა:

ა) იხელმძღვანელონ სკკპ XXVI ყრილობის მიერ დამტკიცებული სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებებით და ამ კანონით და უზრუნველყონ, რომ თითოეულმა გაერთიანებამ, საწარმომ, ორგანიზაციამ შეადგინოს ხუთწლიანი გეგმები ხუთწლედის წლების მიხედვით;

ბ) განახორციელონ ეკონომიკის განვითარებისა და წარმოების ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების დადგენილი დავალებების შესრულების ღონისძიებანი.

ხუთწლიანი გეგმის რეალიზაციის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ იმ ღონისძიებათა განხორციელებას, რომლებიც უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების ზრდას, საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციასა და ეფექტიანობის ამაღლებას მეცხიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, მომჭირნეობის რეჟიმის გამკაცრების, მართვის სრულყოფის, წარმოების რეზერვების გამოვლენისა და გამოყენებისათვის მუშაობის გაძლიერების საფუძველზე;

გ) დაუწესონ მკაცრი კონტროლი საქვეუწყებო გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ ხუთწლიანი გეგმების შესრულების მიმდინარეობას, უზრუნველყონ სახელმწიფო დისციპლინის ყოველნაირი განმტკიცება სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში, სოციალისტური კანონიერების განუხრელი დაცვა სამეურნეო ურთიერთობაში, ამაღლონ თითოეული სამეურნეო ხელმძღვანელის პასუხისმგებლობა გეგმა-დავალებათა დროული შესრულებისათვის, პროდუქციის ხარისხისათვის, ფულადი სახსრებისა და მატერიალური რესურსების მომჭირნედ ხარჯვისათვის.

მუხლი 6. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს წინადადებები და შენიშვნები საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლების სახელმწიფო გეგმის შესახებ, რომლებიც ჩამოყალიბებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების დასკვნაში, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომებზე დეპუტატთა მიერ გამოთქმული წინადადებები და შენიშვნები და მიიღოს მათ გამო შესაბამისი გადაწყვეტილებები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

კ ა ნ ო ნ ი

საპარტიველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

288 საპარტიველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1982 წლის სახელმწიფო გეგმის უმსახეობა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1982 წლის სახელმწიფო გეგმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების შესწორებათა გათვალისწინებით.

მუხლი 2. დადგინდეს 1982 წლისათვის საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით მატების შემდეგი ტემპები:

(მატება პროცენტობით 1981 წელთან შედარებით)

რესპუბლიკის ტერიტორიაზე წარმოებული ეროვნული შემოსავალი	5,6
მრეწველობის პროდუქცია სულ	4,8
აქედან:	
წარმოების საშუალებათა წარმოება	4,7
მოხმარების საგნების წარმოება	4,9
სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში	2,7
საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა	6,6
მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში	2,0
შრომის ნაყოფიერება რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობაში	2,5
მოგება რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებისა და ორგანიზაციების სამრეწველო საქმიანობიდან	6,5
რეალური შემოსავლები ერთ სულ მოსახლეზე	3,0
ხელფასის ფონდი რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში	4,0
მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები ერთ სულ მოსახლეზე	4,7
სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა (შესადარ ფასებში)	6,8
მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რეაღზაციის მოცულობა	7,8
ბავშვთა რიცხვი სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ სკოლამდელ დაწესებულებებში (რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში)	3,6
მოსწავლეთა რიცხვი გახანგრძლივებული დღის სკოლებში (ან ჯგუფებში)	2,6
კვალიფიციურ მუშათა გამოწვევა პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებიდან	2,8
საავადმყოფო საწოლების რაოდენობა	2,5

ამენდეს 1982 წელს საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკურ დაქვემდებარების მეურნეობაში სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებისა და საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახსრების ხარჯზე 953,5 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები.

მუხლი 3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1982 წლის სახელმწიფო გეგმის რეალიზაციის დროს საზოგადოებრივი წარმოების ყოველმხრივი ინტენსიფიკაციის საფუძველზე განახორციელოს ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების, შრომის ნაყოფიერების ზრდის ტექნის დახეობების, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა ფართოდ გამოყენების, ნედლეულის, სათბობ-ენერგეტიკული და სხვა მატერიალური რესურსების მომჭირნეობისა და რაციონალური გამოყენების, პროდუქციისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების, სოციალისტური შეჯიბრების გაშლის, მთელი შინაგანი რეზერვების შობილიზაციის ღონისძიებახი და საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს დახუსტებანი საგეგმო დავალებებში.

მუხლი 4. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1982 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ წინადადებები და შენიშვნები, რომლებიც ჩამოყალიბებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების დასკვნაში, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომებზე დებუტატთა მიერ გამოთქმული წინადადებები და შენიშვნები და მიიღოს მათ გამო შესაბამისი გადაწყვეტილებები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1981 წლის 25 ნოემბერი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

289 საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნას ცნობად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მოხსენება საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

2. აღიხიწოს, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ახორციელებს საჭირო ღონისძიებებს საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმის შესასრულებლად.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების წინადადებები და შენიშვნები, აგრე-

თვე წინადადებები და შენიშვნები, რომლებიც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომებზე გამოთქვეს დებუტატებმა საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის საკითხზე, და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის ნოემბრის პლენუმის და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე განახორციელოს ღონისძიებანი მიმდინარე წლისა და 1982 წლის საგეგმო დავალებათა წარმატებით შესასრულებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშაბარაშვილი.

თბილისი. 1981 წლის 25 ნოემბერი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს სახკომთა სოციალისტური რესპუბლიკისა

290 საქართველოს სსრ 1982 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ 1982 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების შესწორებათა გათვალისწინებით შემოსავლის ნაწილში 2.414.273 ათასი მანეთი და გასავლის ნაწილში 2.414 273 ათასი მანეთი, გარდა ამისა, საკასო საბრუნავი სახსრები 1983 წლის 1 იანვრისათვის 69.500 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 2. დაწესდეს საქართველოს სსრ 1982 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან — ბრუნვის გადასახადი, საწარმოო ფონდების საფასური, მოგების თავისუფალი ნაშთი, მოგების ანარიცხები, საშემოსავლო გადასახადი და სხვა შემოსავალი სოციალისტური მეურნეობიდან — სულ 2.117.726 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 3. დაწესდეს საქართველოს სსრ 1982 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი სახალხო მეურნეობის დასაფინანსებლად — სამშენებლო ინდუსტრიის, მსუბუქი და კვების მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების შემდგომი განვითარებისათვის — სულ 1.037.547 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 4. დაწესდეს საქართველოს სსრ 1982 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნებანი სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის — ზოგადსა-

განმანათლებლო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, ბიბლიოთეკების, კლუბების, თეატრების, ბეჭდვითი სიტყვის, ტელევიზიის, რადიომაუწყებლობის, განათლებისა და კულტურის სხვა ღონისძიებებისათვის; საავადმყოფოების, საბავშვო ბაგების, სანატორიუმებისა და ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური კულტურის სხვა დაწესებულებებისათვის; პენსიებისა და დახმარებისათვის — სულ 1.265.768 ათასი მანეთის ოდენობით, აქედან სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტით 282.700 ათასი მანეთი.

მუხლი 5. დაწესდეს საქართველოს სსრ 1982 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნებული სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, სახელმწიფო მმართველობის ორგანოების, სასამართლოების შესანახად 36.909 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 6. დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1982 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი შემოსავლის ნაწილში 2.210.632 ათასი მანეთი და გასავლის ნაწილში 1.673.522 ათასი მანეთი, ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებსა და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივ ბიუჯეტებში საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გადასაცემი სახსრები 537.110 ათასი მანეთი, ვარდა ამისა, საკასო საბრუნავი სახსრები 1983 წლის 1 იანვრისათვის 36.666 ათასი მანეთი.

მუხლი 7. დაწესდეს საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტები და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი ბიუჯეტები 1982 წლისათვის შემდეგი თანხებით.

(ათასი მანეთობით)

	შემოსავალი	მათ შორის:		გასავალი	საკასო საბრუნავი სახსრები 1983 წლის 1 იანვრისათვის
		ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან და შეოსავლებიდან	მეორე		
1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	78.923,8	54.924,5		78.923,8	3.912
2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	54.342,2	40.228,7		54.342,2	2.712
3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	24.357,7	21.346,0		24.357,7	1.215
4. ქალაქი თბილისი	206.512,0	126.698,3		206.512,0	6.187
5. ქალაქის ქუთაისი	30.996,2	18.741,4		30.996,2	1.549
6. ქალაქი ფოთი	6.689,1	4.532,8		6.689,1	335

	შემოსავალი	მათ შორის:		სახ- საქსა საბურთე სტრუქტურა 1983 წლის 1 იანვარსათვის
		ანაიტები სახელ- მწიფე გადასახდელ- ბიდან და შემოსავ- ლებიდან	ვასავალი	
7. ქალაქი კიათურა	9.261,9	7.743,1	9.261,9	462
8. ქალაქი რუსთავი	18.861,3	13.666,9	18.681,3	935
9. ქალაქი გორი	7.625,8	4.083,4	7.620,8	378
10. ქალაქი ტყიბული	5.746,2	5.033,9	5.746,5	286
11. ქალაქი ზუგდიდი	7.287,2	5.219,7	7.287,2	364
12. ქალაქი წყალტუბო	6.650,3	2.692,5	6.650,3	331
13. აბაშის რაიონი	4.162,9	3.571,1	4.162,9	207
14. აღიგენის რაიონი	3.492,9	3.131,1	3.492,9	173
15. ამბროლაურის რაიონი	3.636,4	3.044,0	3.636,4	182
16. ასპინძის რაიონი	2.698,2	2.391,2	2.698,2	133
17. ახალქალაქის რაიონი	7.596,3	6.681,8	7.596,3	378
18. ახალციხის რაიონი	6.867,9	6.020,1	6.857,9	342
19. ახმეტის რაიონი	5.597,7	4.006,6	5.597,7	279
20. ბოგდანოვკის რაიონი	5.136,8	4.653,2	5.136,8	256
21. ბოლნისის რაიონი	7.027,0	5.551,8	7.027,0	351
22. ბორჯომის რაიონი	4.971,7	3.616,1	4.971,7	247
23. გარდაბნის რაიონი	9.232,3	7.208,1	9.232,3	460
24. გეგუქორის რაიონი	6.337,9	5.340,3	6.337,9	316
25. გორის რაიონი	7.526,7	6.457,0	7.526,7	376
26. გურჯაანის რაიონი	7.271,7	5.451,1	7.271,7	362
27. დმანისის რაიონი	5.460,5	4.702,8	5.460,5	273
28. დღუშეთის რაიონი	5.467,4	4.464,4	5.467,4	272
29. ვანის რაიონი	4.574,7	3.871,4	4.574,7	228
30. ზესტაფონის რაიონი	7.890,5	5.839,5	7.890,5	393
31. ზუგდიდის რაიონი	7.873,0	7.018,8	7.873,0	392
32. თეთრი წყაროს რაიონი	4.606,0	3.677,7	4.606,0	230
33. თელავის რაიონი	9.055,1	7.807,3	9.055,1	451
34. თერჯოლის რაიონი	4.974,6	3.811,6	4.974,6	248
35. თიანეთის რაიონი	3.430,5	2.920,2	3.430,5	171
36. ქსპის რაიონი	5.570,9	4.615,0	5.570,9	276
37. ლაგოდეხის რაიონი	6.165,9	5.122,8	6.165,9	307
38. ლანჩხუთის რაიონი	5.249,9	4.368,7	5.249,9	263
39. ლენტეხის რაიონი	3.387,9	3.079,8	3.387,9	169
40. მიაკოვსკის რაიონი	4.133,8	3.026,6	4.133,8	206
41. მარნეულის რაიონი	9.699,2	7.321,3	9.699,2	484
42. მახარაძის რაიონი	10.438,6	8.546,9	10.438,6	522
43. მესტიის რაიონი	4.379,4	3.920,7	4.379,4	217
44. მცხეთის რაიონი	5.954,7	4.750,1	4.954,7	297
45. ონის რაიონი	2.971,5	2.561,4	2.971,5	148
46. ორჯონიკიძის რაიონი	4.453,7	3.904,7	4.453,7	221
47. სავარეგოს რაიონი	5.403,8	3.480,3	5.403,8	270
48. სამცხრედიის რაიონი	6.800,1	5.088,2	6.800,1	339

	შემოსავალი	მათ შორის:		გასავალი	საკანონმდებელი სამსახური 1983 წლის 1 იანვრისათვის
		ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან	სახელმწიფო გადასახადები		
49. საჩხერის რაიონი	5.201,5	4.095,7	5.201,5	259	
50. სიღნაღის რაიონი	5.710,1	4.349 0	5.710,1	285	
51. ქარელის რაიონი	5.300,0	4.384,2	5.300,0	264	
52. ყაზბეგის რაიონი	1.991,9	1.739,1	1.991,9	99	
53. ყვარლის რაიონი	5.035,6	4.126,6	5.035,6	251	
54. ჩხოატაურის რაიონი	4.429,4	3.740,5	4.429,4	221	
55. ჩხოროწყუს რაიონი	5.096,8	4.332,6	5 096,8	254	
56. ცაგერის რაიონი	3.592,3	3.173,4	3.592,3	179	
57. ცხაქვიას რაიონი	6.116,0	5.002,7	6.116,0	305	
58. წალენჯიხის რაიონი	5.845,4	4.980,0	5.845,4	292	
59. წალკის რაიონი	6.120,2	5.372,9	6.120,2	306	
60. წითელწყაროს რაიონი	4.721,4	3.842,1	4.721,3	233	
61. წულუკიძის რაიონი	4.878,2	3.946,3	4.878,2	243	
62. ხაშურის რაიონი	5.701,4	4.440,0	5.701,4	284	
63. ხობის რაიონი	4.433,8	3.689,0	4.438,8	221	
ს უ ლ	740.751,0	537.110,0	740.751,0	32.834,0	

მუხლი 8. დამტკიცდეს 1982 წლისათვის საერთო-საკავშირო სახელმწიფო გადასახადებისა და შემოსავლების ანარიცხები საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებში და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივ ბიუჯეტებში შემდეგი ოდენობით:

ა) სატყეო შემოსავლიდან, კომპიუტერობათა საშემოსავლო გადასახადიდან, სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან და სსრ კავშირის უცოლო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადიდან — 100 პროცენტი;

ბ) ფულისა და ნივთების ლატარების შემოსავლიდან — 100 პროცენტი;

გ) სახელმწიფო სამპროცენტო შინაგანი მომგებიანი სესხის გაგრძელების თანხიდან, მოსახლეობის ნაგებობების, საოჯახო ქონების, ტრანსპორტის საშუალებებისა და ცხოველების ნებაყოფლობითი დაზღვევის, აგრეთვე უბედური შემთხვევისაგან მოქალაქეთა დაზღვევის გადასახდელებიდან — 50 პროცენტი;

დ) მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან და ბრუნვის გადასახადიდან შემოსული თანხებიდან:

	ანარიცხების პროცენტები	
	მოსახლეობის სა- შემოსავლო მა- დასახადიდან	ბუნების გადასახადიდან
1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	38	39,2
2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	27	54,8
3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	88	66,6
4. ქალაქი თბილისი	10	7,8
5. ქალაქი ქუთაისი	20	8,1
6. ქალაქი ფოთი	48	38,6
7. ქალაქი კიათურა	50	25,7
8. ქალაქი რუსთავი	52	54,7
9. ქალაქი გორი	51	43,0
10. ქალაქი ტყიბული	50	78,1
11. ქალაქი ზუგდიდი	52	36,2
12. ქალაქი წყალტუბო	12	2,4
13. აბაშის რაიონი	50	61,9
14. ადიგენის რაიონი	75	87,9
15. ამბროლაურის რაიონი	63	66,8
16. ასპინძის რაიონი	100	42,8
17. ახალქალაქის რაიონი	48	20,3
18. ახალციხის რაიონი	50	23,8
19. ახმეტის რაიონი	79	55,1
20. ბოგდანოვკის რაიონი	50	13,5
21. ბოლნისის რაიონი	50	68,7
22. ბორჯომის რაიონი	49	5,9
23. გარდაბნის რაიონი	32	10,3
24. გეგეჭკორის რაიონი	50	15,2
25. გორის რაიონი	31	9,8
26. გურჯაანის რაიონი	11	3,4
27. დმანისის რაიონი	54	13,9
28. დღუშეთის რაიონი	60	69,6
29. ვანის რაიონი	50	8,2
30. ზესტაფონის რაიონი	25	6,5
31. ზუგდიდის რაიონი	60	40,9
32. თეთრი წყაროს რაიონი	50	16,4
33. თელავის რაიონი	35	10,3
34. თერჯოლის რაიონი	40	6,8
35. თიანეთის რაიონი	72	10,8
36. კასპის რაიონი	49	7,0
37. ლაგოდეხის რაიონი	40	15,4
38. ლანჩხუთის რაიონი	40	22,1
39. ლენტეხის რაიონი	71	71,3
40. მაიაკოვსკის რაიონი	50	33,0
41. მარნეულის რაიონი	32	9,6
42. მახარაძის რაიონი	29	58,7

16910

ანარიცხების პროცენტები

	მოსახლეობის საშუალო გადასახადიდან	ბრუნვის გადასახადიდან
43. მესტიის რაიონი	60	32,5
44. მცხეთის რაიონი	24	30,4
45. ონის რაიონი	90	70,2
46. ოჯონიკიძის რაიონი	50	70,2
47. საგარეჯოს რაიონი	15	3,3
48. სამტრედიის რაიონი	27	8,4
49. საჩხერის რაიონი	49	28,1
50. სიღნაღის რაიონი	9	2,7
51. ქარელის რაიონი	50	26,4
52. ყაზბეგის რაიონი	90	23,3
53. ყვარლის რაიონი	35	25,7
54. ჩხოატაურის რაიონი	50	6,4
55. ჩხოროწყუს რაიონი	50	69,8
56. ცაგერის რაიონი	100	46,4
57. ცხაკაიას რაიონი	25	2,9
58. წალენჯიხის რაიონი	48	4,5
59. წალკის რაიონი	52	22,3
60. წითელწყაროს რაიონი	36	23,6
61. წულუკიძის რაიონი	37	21,8
62. ხაშურის რაიონი	15	2,8
63. ხობის რაიონი	50	40,3

მუხლი 9. გადაეცეს სოფლის რაიონების ბიუჯეტებს (შემდგომში სახალხო დეპუტატთა სასოფლო და სადბო საბჭოების ბიუჯეტებზე გადასაცემად) საქართველოს სსრ რესპუბლიკურ ბიუჯეტში შემოსული ბრუნვის გადასახადის ნაწილი, გამოანგარიშებული სამომხმარებლო კოოპერაციის საცალო საქონელბრუნვასთან პროცენტებში. შემდეგი ოდენობით:

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	30	ვანის რაიონი	16
ქალაქის კიათურა	35	ზესტაფონის რაიონი	16
ქალაქი ტყიბული	23	ზუგდიდის რაიონი	11
ქალაქის წყალტუბო	3	თეთრი წყაროს რაიონი	12
აბაშის რაიონი	19	თერჯოლის რაიონი	10
ადიგენის რაიონი	30	თელავის რაიონი	11
ამბროლაურის რაიონი	16	თიანეთის რაიონი	25
ასპინძის რაიონი	30	კასპის რაიონი	8
ახალქალაქის რაიონი	13	ლაგოდეხის რაიონი	7
ახალციხის რაიონი	22	ლანჩხუთის რაიონი	9
ახმეტის რაიონი	10	ლენტეხის რაიონი	48
ბოგდანოვკის რაიონი	15	მიაკოვსკის რაიონი	10
ბოლნისის რაიონი	13	მარნეულის რაიონი	4
ბორჯომის რაიონი	13	მაზარაძის რაიონი	3
გარდაბნის რაიონი	7	მესტიის რაიონი	38
გეგეჭკორის რაიონი	14	მცხეთის რაიონი	9
გორის რაიონი	9	ონის რაიონი	18
გურჯაანის რაიონი	3	ორჯონიკიძის რაიონი	23
ღმანისის რაიონი	25	საგარეჯოს რაიონი	6
ღუშეთის რაიონი	13	სამტრედიის რაიონი	8

საჩხერის რაიონი	13	ცხაკაიას რაიონი	7
სიღნაღის რაიონი	7	წალენჯიხის რაიონი	15
ქარელის რაიონი	15	წალკის რაიონი	20
ყაზბეგის რაიონი	27	წითელწყაროს რაიონი	8
ყვარლის რაიონი	10	წულუკიძის რაიონი	14
ჩოხატაურის რაიონი	15	ხაშურის რაიონი	8
ჩხოროწყუს რაიონი	17	ხობის რაიონი	12
ცაგერის რაიონი	28		

მუხლი 10. დამტკიცდეს ანარიცხები 1982 წლისათვის ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებში და ადგილობრივ ბიუჯეტებში საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის, ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის, ხორცისა და რძის მრეწველობის, კვების მრეწველობის სამინისტროების, საქართველოს სსრ მეღვინეობის მრეწველობის სამრეწველო გაერთიანება «სამტრესის» საწარმოების, ხოლო ქალაქ ფოთის ბიუჯეტში სხვა სამინისტროებისა, რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მოგების თავისუფალი ნაშთიდან პროცენტებში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ „საქართველოს სსრ 1982 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ 1981 წლის 24 ნოემბრის № 799 დადგენილებით მიღებული ოდენობით.

მუხლი 11. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რომ განიხილოს საქართველოს სსრ 1982 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ წინადადებანი და შენიშვნები, რომლებიც ჩამოყალიბებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების დასკვნებში, აგრეთვე წინადადებანი და შენიშვნები რომლებიც დეპუტატებმა გამოთქვეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომებზე, და მიიღოს მათ შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1981 წლის 25 ნოემბერი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

291 საქართველოს სსრ 1980 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ
ლავის ანგარიზის დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1980 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ ანგარიში შემოსავლის ნაწილში — 2.527.988 ათასი მანეთისა და გა-

სავლის ნაწილში — 2.447.617 ათასი მანეთის ოდენობით, გასავალზე შემოსავლის 80.371 ათასი მანეთის გადამეტებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშვარაშვილი.

თბილისი. 1981 წლის 25 ნოემბერი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოცალისტური რესპუბლიკისა

292 საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ

კ ა რ ი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. მართლმსაჯულების განხორციელება მხოლოდ სასამართლოს მიერ

სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად საქართველოს სს რესპუბლიკაში მართლმსაჯულებას ახორციელებს მხოლოდ სასამართლო.

საქართველოს სს რესპუბლიკაში მოქმედებენ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სასამართლოები.

საქართველოს სსრ სასამართლოები არიან საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოები, თბილისის საქალაქო სასამართლო, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლო და რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოები.

მუხლი 2. სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა სასამართლო წყობილების შესახებ

საქართველოს სსრ სასამართლო წყობილებას განსაზღვრავს სსრ კავშირის კონსტიტუცია, საქართველოს სსრ კონსტიტუცია, აფხაზეთის ასსრ კონსტიტუცია, აჭარის ასსრ კონსტიტუცია, სსრ კავშირში სასამართლო წყობილების შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლები და მათ შესაბამისად გამოცემული სსრ კავშირის სხვა საკანონმდებლო აქტები, ეს კანონი და საქართველოს სსრ სხვა საკანონმდებლო აქტები.

მუხლი 3. სასამართლოს ამოცანები

მართლმსაჯულების განხორციელებისას სასამართლოს საქმიანობა მიზნად ისახავს სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის ყოველმხრივ განმტკიცებას, დანაშაულთა და სხვა სამართალდარღვევათა თავიდან აცდენას და მისი ამოცანაა დაიცვას ყოველგვარი ხელყოფისაგან:

სსრ კავშირის კონსტიტუციით, საქართველოს სსრ კონსტიტუციით, აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციით, აჭარის ასსრ კონსტიტუციით განმტკიცებული საზოგადოებრივი წყობილება, მისი პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემები;

სსრ კავშირის კონსტიტუციით, საქართველოს სსრ კონსტიტუციით, აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციით, აჭარის ასსრ კონსტიტუციით და საბჭოთა კანონებით გამოცხადებული და გარანტირებული მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და პირადი უფლებები და თავისუფლებები;

სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობების, სხვა კოოპერაციული ორგანიზაციების, მათი გაერთიანებების, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების უფლებები და კანონიერი ინტერესები.

სასამართლო მთელი თავისი საქმიანობით საბჭოთა მოქალაქეებს ზრდის სამშობლოსა და კომუნისმის საქმისადმი ერთგულების სულისკვეთებით, სსრ კავშირის კონსტიტუციის, საქართველოს სსრ კონსტიტუციის, აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის, აჭარის ასსრ კონსტიტუციისა და საბჭოთა კანონების ზუსტად და განუხრელად შესრულების, სოციალისტური საკუთრებისადმი მზრუნველი დამოკიდებულების, შრომის დისციპლინის დაცვის, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მოვალეობისადმი პატიოსანი დამოკიდებულების, მოქალაქეთა უფლებების, პატივისა და ღირსებისადმი, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით.

სისხლისსამართლებრივი სასჯელის ზომების გამოყენებით სასამართლო არა მარტო სჯის დამნაშავეებს, არამედ აგრეთვე მიზნად ისახავს მათ გამოსწორებას და ხელახლა აღზრდას.

მუხლი 4. მართლმსაჯულების განხორციელება სასამართლოს მიერ სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის გზით

მართლმსაჯულება საქართველოს სს რესპუბლიკაში ხორციელდება:

1) სასამართლო სსდომებზე იმ დავის შესახებ სამოქალაქო საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტის გზით, რომელიც ეხება მოქალაქეების, სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობების, სხვა კოოპერაციული ორგანიზაციების, მათი გაერთიანებების, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების უფლებებსა და ინტერესებს;

2) სამსჯავრო სსდომებზე სისხლის სამართლის საქმეების განხილვისა და იმ პირთათვის, რომლებსაც ბრალი მიუძღვით დანაშაულის ჩადენაში, კანონით დაწესებული სასჯელის ზომის შეფარდების ან უდანაშაულოთა გამართლების გზით.

მუხლი 5. მოქალაქეთა თანასწორობა კანონისა და სასამართლოს წინაშე

საქართველოს სს რესპუბლიკაში მართლმსაჯულება ხორციელდება კანონისა და სასამართლოს წინაშე მოქალაქეთა თანასწორობის საწყისებზე, წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, საქმიანობის სახეობისა და ხასიათის, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა გარემოებათა მიუხედავად.

მუხლი 6. მოქალაქეთა სასამართლო დაცვის უფლება

საქართველოს სსრ მოქალაქეებს აქვთ პატივისა და ღირსების, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, პირადი თავისუფლებისა და ქონების ხელყოფისაგან სასამართლო დაცვის უფლება.

სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მოქალაქეები საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საქართველოს სსრ მოქალაქეთა თანასწორად სარგებლობენ სასამართლო დაცვის უფლებით.

მუხლი 7. მართლმსაჯულების განხორციელება კანონის ზუსტი შესაბამისობით

საქართველოს სს რესპუბლიკაში მართლმსაჯულება ხორციელდება სსრ კავშირის, საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კანონმდებლობის სრული შესაბამისობით. საქართველოს სსრ სასამართლოებს კანონით დადგენილ შემთხვევებში შეუძლიათ გამოიყენონ სხვა მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობაც.

მუხლი 8. ყველა სასამართლოს შექმნა არჩევითობის საწყისებზე

საქართველოს სსრ ყველა სასამართლო იქმნება მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა არჩევითობის საწყისებზე.

მუხლი 9. მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა ანგარიშვალდებულება

მოსამართლეები და სახალხო მსაჯულები პასუხისმგებელი არიან ამომრჩეველთა ან იმ ორგანოების წინაშე, რომლებმაც ისინი აირჩიეს, და ანგარიშს აბარებენ მათ.

მუხლი 10. სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიური განხილვა ყველა სასამართლოში

სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების განხილვა ყველა სასამართლოში ხორციელდება კოლეგიურად.

პირველი ინსტანციის სასამართლოში სამოქალაქო და სისხლის სამართლის ყველა საქმე განიხილება მოსამართლისა და ორი სახალხო მსაჯულის შემადგენლობით.

შესაბამისი სასამართლოების სასამართლო კოლეგიებში საკასაციო დამხედველობის წესით საქმეთა განხილვა ხორციელდება სასამართლოს საძიწვერის შემადგენლობით.

სასამართლოს პრეზიდიუმი საქმეებს განიხილავს პრეზიდიუმის წევრთა უმრავლესობის დასწრებით.

სასამართლოს პლენუმი საქმეებს განიხილავს მისი შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის დასწრებით.

მუხლი 11. სახალხო მსაჯულთა და მოსამართლეთა თანასწორი უფლებები მართლმსაჯულების განხორციელების დროს

სახალხო მსაჯულები მართლმსაჯულების განხორციელების დროს სარგებლობენ მოსამართლის ყველა უფლებებით.

მუხლი 12. მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და მათი მხოლოდ კანონისადმი დამორჩილება

მოსამართლეები და სახალხო მსაჯულები დამოუკიდებელი არიან და მხოლოდ კანონს ემორჩილებიან.

მუხლი 13. ენა, რომელზეც სამართალწარმოება ხორციელდება

სამართალწარმოება საქართველოს სს რესპუბლიკაში ხორციელდება ქართულ ენაზე ან ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის ენაზე, ან მოცემული ადგილის მოსახლეობის უმრავლესობის ენაზე, საქმის მონაწილე პირებისათვის, რომლებმაც არ იციან მიმდინარე სამართალწარმოების ენა, უზრუნველყოფილია თარჯიმნის მეშვეობით საქმის მასალების სრული გაცნობისა და სასამართლო მოქმედებაში მონაწილეობის უფლება და სასამართლოში დედაენაზე გამოსვლის უფლება.

მუხლი 14. საქმეთა ღია გარჩევა ყველა სასამართლოში

საქმის გარჩევა ყველა სასამართლოში ღიაა. სასამართლოს დახურულ სხდომაზე საქმეთა მოხმენა დასაშვებია მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში, სამართალწარმოების ყველა წესის დაცვით.

მუხლი 15. ბრალდებულისათვის დაცვის უფლების უზრუნველყოფა

ბრალდებულისათვის უზრუნველყოფილია დაცვის უფლება.

მუხლი 16. ადვოკატურის მიერ მოქალაქეებისა და ორგანიზაციებისათვის იურიდიული დახმარების გაწევა

სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა სამართალწარმოებაში მოქალაქეებსა და ორგანიზაციებს იურიდიულ დახმარებას უწევენ ადვოკატები.

ადვოკატების მიერ იურიდიული დახმარების გაწევის წესს, აგრეთვე სსრ მოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა სამართალწარმოებაში მონაწილე ადვოკატთა უფლებებსა და მოვალეობებს განსაზღვრავს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა, ხოლო კანონით დადგენილ შემთხვევებში — სხვა მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობაც.

მუხლი 17. პროკურორის ზედამხედველობა სასამართლოებში საქმეთა განხილვის დროს კანონების შესრულებისადმი

სსრ კავშირის გენერალური პროკურორი და მისდამი დაქვემდებარებული საქართველოს სსრ პროკურორი და ქვემდგომი პროკურორები სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის საფუძველზე და ამ კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებენ ზედამხედველობას სასამართლოებში საქმეთა განხილვის დროს კანონების შესრულებისადმი.

პროკურორი ხელს უწყობს სასამართლოს ამოცანათა განხორციელებას მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მათი მხოლოდ კანონისადმი დამორჩილების პრინციპის მკაცრი დაცვით.

მუხლი 18. საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთა მონაწილეობა სამართალწარმოებაში

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა სამართალწარმოებაში დაიშვება საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთა მონაწილეობა.

მუხლი 19. სასამართლოების ორგანიზაციული ხელმძღვანელობა

საქართველოს სსრ სასამართლოების ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას სსრ კავშირის, საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფარგლებში და წესით ახორციელებენ:

სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრო — საქართველოს სსრ სასამართლოებისადმი;

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო — აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოებისადმი, თბილისის საქალაქო სასამართლოსადმი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოსადმი და რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოებისადმი;

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილება — რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოებისადმი.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილება;

- 1) შეიძუშავებენ წინადადებებს სასამართლოების ორგანიზაციის მართლეთა და სახალხო მსაჯულთა არჩევნების ჩატარების საკითხებზე;
- 2) ხელმძღვანელობენ სასამართლოების კადრებთან მუშაობას;
- 3) ამოწმებენ სასამართლოების მუშაობის ორგანიზაციას;
- 4) შეისწავლიან და განაზოგადებენ სასამართლო პრაქტიკას, ამასთან ახდენენ ამ საქმიანობის კოორდინაციას შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოსთან, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უმაღლეს სასამართლოებთან, თბილისის საქალაქო სასამართლოსთან და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოსთან;

5) ორგანიზაციას უწევენ სასამართლო სტატისტიკის წარმოებას.

საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრს უფლება აქვს შეიტანოს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმში წარდგინება საქართველოს სსრ კანონმდებლობის შეფარდების საკითხებზე სასამართლოებისათვის სახელმძღვანელო განმარტებათა მიცემის შესახებ.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილება მოწოდებული არიან ყოველმხრივ შეუწყონ ხელი სასამართლოთა ამოცანების განხორციელებას მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მათი მხოლოდ კანონისადმი დამორჩილების პრინციპის მკაცრად დაცვით.

პ ა რ ო ი I I

სასამართლო სისტემა

თ ა ვ ო ი I

საქართველოს სსრ სასამართლოები

მუხლი 20. საქართველოს სსრ სასამართლოები

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლო და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლო, თბილისის საქალაქო სასამართლო, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლო, რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოები — საქართველოს სსრ სასამართლო სისტემა.

თ ა ვ ო ი I I

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოები

მუხლი 21. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს შექმნა

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლო შეიქმნება რაიონში, ქალაქში (გარდა რაიონული დაქვემდებარების ქალაქებისა), ქალაქის რაიონში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის წარდგინებით შეუძლია შექმნას ერთი რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლო რაიონისა და ქალაქისათვის.

მუხლი 22. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევის წესი

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეებს ირჩევენ რაიონის, ქალაქის, ქალაქის რაიონის მოქალაქენი საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით ხუთი წლის ვადით.

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულებს ირჩევენ მოქალაქეთა კრებებზე მათს სამუშაო ან საცხოვრებელ ადგილას, სამხედრო მოსამსახურეთა კრებებზე — ჯარის ნაწილებში ღია კენჭისყრით ორნახევარი წლის ვადით.

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეებისა და სახალხო მსაჯულების არჩევნების წესს განსაზღვრავს საქართველოს სსრ კანონი „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების შესახებ“.

მუხლი 23. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს შემადგენლობა

რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოს ირჩევენ სახალხო მოსამართლის (სახალხო მოსამართლეების) და სახალხო მსაჯულების შემადგენლობით.

ორი ან მეტი სახალხო მოსამართლის არჩევის შემთხვევაში სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭო სესიაზე არჩეულ სახალხო მოსამართლეთა რიცხვიდან ამტიციებს შესაბამისი რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს. ამ საკითხზე წარდგინება შეაქვთ შესაბამისად საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ იუსტიციის მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილების უფროსს.

მუხლი 24. სახალხო მოსამართლეებისა და სახალხო მსაჯულების რაოდენობა

თითოეული რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოსათვის მოსამართლეთა რაოდენობას აწესებს შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები, სახალხო დეპუტატთა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ იუსტიციის მინისტრების და სამხ-

რეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილების უფროსის წარდგინებით.

მუხლი 25. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს უფლებამოსილება

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლო განიხილავს ყველა სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეს, გარდა იმ საქმეებისა, რომლებიც კანონით სხვა სასამართლოს გამგებლობას განეკუთვნება.

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლო ან სახალხო მოსამართლე განიხილავს საქმეებს ადმინისტრაციულ სამართალდევვათა შესახებ.

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლო შეისწავლის და განაზოგადებს სასამართლო პრაქტიკას, სამართლებრივ დახმარებას უწევს ამხანაგურ სასამართლოებს, აგრეთვე ახორციელებს მისთვის კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 26. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე:

1. თავმჯდომარეობს სასამართლო სხდომებს; ნიშნავს სახალხო მოსამართლეებს სასამართლო სხდომების თავმჯდომარედ; ანაწილებს სხვა მოვალეობებს სახალხო მოსამართლეთა შორის;

2) ორგანიზაციას უწევს სახალხო მსაჯულებთან მუშაობას;

3) აწარმოებს პირად მიღებას, ორგანიზაციას უწევს სასამართლოს მუშაობას მოქალაქეთა მიღების, წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის საქმეში;

4) ხელმძღვანელობს სასამართლო პრაქტიკის შესწავლა-განზოგადებას და სასამართლო სტატისტიკის წარმოებას; შეაქვს წარდგინებები სახელმწიფო ორგანოებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში და თანამდებობის პირებთან კანონის დარღვევის, სამართალდარღვევის ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების თავიდან აცილების შესახებ;

5) წარადგენს დასანიშნავად სასამართლოს აღმასრულებლებს და ორგანიზაციას უწევს მათ მუშაობას;

6) ხელმძღვანელობს სასამართლოს აპარატის მუშაობას;

7) ორგანიზაციას უწევს მუშაობას სასამართლოს მუშაკების კვალიფიკაციის, აგრეთვე სახალხო მსაჯულების სამართლებრივი ცოდნის ასამაღლებლად;

8) ორგანიზაციას უწევს სამართლებრივი ცოდნის პრობაგანდისა და კანონმდებლობის განმარტებისათვის მუშაობას, ამხანაგური სასამართლოებისათვის სამართლებრივი დახმარების აღმოჩენას;

9) ახორციელებს მისთვის კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

თუ რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოში არჩეულია ერთ-ერთი სახალხო მოსამართლე, იგი ახორციელებს რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილებას.

მუხლი 27. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის ან სახალხო მოსამართლის შეცვლა მისი დროებით არყოფნის შემთხვევაში

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის დროებით არყოფნის შემთხვევაში (ავადმყოფობა, შვებულება და ა. შ.) მისი მოვალეობის შესრულება შესაბამისად საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ იუსტიციის მინისტრების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილებების უფროსის წარდგინებით, სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით შეიძლება დაეკისროს ამ სასამართლოს ერთ-ერთ სახალხო მოსამართლეს.

სახალხო მოსამართლის დროებით არყოფნის შემთხვევაში მისი მოვალეობის შესრულება შესაბამისად საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ იუსტიციის მინისტრების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილების უფროსის წარდგინებით, სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით შეიძლება დაეკისროს ამ სასამართლოს ერთ-ერთ სახალხო მსაჯულს.

მუხლი 28. სახალხო მსაჯულთა საბჭო

რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოსთან იქმნება სახალხო მსაჯულთა საბჭო.

სახალხო მსაჯულთა საბჭოს ორგანიზაციას, ამოცანებს და საქმიანობის წესს განსაზღვრავს დებულება, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

თ ა ზ ი III

თბილისის საქალაქო სასამართლო, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლო

მუხლი 29. თბილისის საქალაქო სასამართლოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს არჩევის წესი და ანგარიშვალდებულება

თბილისის საქალაქო სასამართლოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს ირჩევენ შესაბამისად სახალხო დეპუტატთა თბილისის საქალაქო საბჭო, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალ-



ხო დეპუტატთა საბჭო ხუთი წლის ვადით შემდეგი შემადგენლობით: თბილისის საქალაქო სასამართლოს — თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეების, სასამართლოს წევრებისა და სახალხო მსაჯულების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს — თავმჯდომარის, სასამართლოს წევრებისა და სახალხო მსაჯულების შემადგენლობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს რიცხობრივ შემადგენლობას ადგენს შესაბამისად თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭო, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭო, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის წარდგინებით.

თბილისის საქალაქო სასამართლო, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლო უფლებამოსილების პერიოდში ერთხელ მაინც სახალხო დეპუტატთა შესაბამის საბჭოს წარუდგენენ ანგარიშებს თავიანთი საქმიანობის შესახებ და სისტემატურად მოახსენებენ მას ამ საქმიანობის თაობაზე.

მუხლი 30. თბილისის საქალაქო სასამართლოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს შემადგენლობა

თბილისის საქალაქო სასამართლო, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლო მოქმედებენ შემდეგი შემადგენლობით:

- 1) სასამართლოს პრეზიდიუმი;
- 2) სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია.
- 3) სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია.

მუხლი 31. თბილისის საქალაქო სასამართლოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს უფლებამოსილება

თბილისის საქალაქო სასამართლო, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლო:

თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავენ საქმეებს პირველი ინსტანციით, საკასაციო წესით, ზედამხედველობის წესით და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო;

ახორციელებენ რა ზედამხედველობას რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სასამართლო საქმიანობაზე, აგრეთვე შეისწავლიან და განაზოგადებენ სასამართლო პრაქტიკას, აანალიზებენ სასამართლო სტატისტიკას; ახორციელებენ მათთვის კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 32. თბილისის საქალაქო სასამართლოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს პრეზიდიუმები

თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმი იქმნება თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეებისა და წევრების შემადგენლობით. პრეზიდიუმის რიცხობრივ შემადგენლობას განსაზღვრავს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს პრეზიდიუმი იქმნება საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის და წევრების შემადგენ-

ლობით. პრეზიდიუმის რიცხობრივ შემადგენლობას განსაზღვრავს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს პრეზიდიუმების შემადგენლობას ამტკიცებს შესაბამისად თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის, საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს პრეზიდიუმების სხდომებზე სასამართლო საქმეთა განხილვისას შესაბამისად ქალაქ თბილისის პროკურორის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურორის მონაწილეობა სავალდებულოა.

მუხლი 33. თბილისის საქალაქო სასამართლოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს პრეზიდიუმების უფლებამოსილება

თბილისის საქალაქო სასამართლოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს პრეზიდიუმები:

1) თავიანთი უფლებემოსილების ფარგლებში განიხილავენ საქმეებს ზედამხედველობის წესით და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო;

2) სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით მოსამართლეთა რიცხვიდან ამტკიცებენ სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის და სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის შემადგენლობას;

3) განიხილავენ სასამართლო პრაქტიკის შესწავლა-განზოგადებისა და სასამართლო სტატისტიკის ანალიზის მასალებს;

4) მოისმენენ სასამართლო კოლეჯიათა თავმჯდომარეების ანგარიშებს კოლეჯების საქმიანობის შესახებ; განიხილვენ სასამართლოს აპარატის მუშაობის საკითხებს;

5) დახმარებას უწევენ რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოებს კანონმდებლობის სწორად გამოყენებაში, ამასთან ახდენენ ამ საქმიანობის კოორდინაციას შესაბამისად საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილებასთან;

6) ახორციელებენ მათთვის კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 34. თბილისის საქალაქო სასამართლოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს პრეზიდიუმების მუშაობის წესი

თბილისის საქალაქო სასამართლოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს პრეზიდიუმებს იწვევენ სულ ცოტა თვეში ორჯერ.

პრეზიდიუმის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება პრეზიდიუმის წევრების უმრავლესობა.

პრეზიდიუმის დადგენილება მიიღება დია კენჭისყრით, კენჭისყრაში მონაწილე პრეზიდიუმის წევრთა ხმის უმრავლესობით.

პრეზიდიუმის დადგენილებას ხელს აწერს სასამართლოს თავმჯდომარე.

მუხლი 85. თბილისის საქალაქო სასამართლოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს სასამართლო კოლეგიები

თბილისის საქალაქო სასამართლოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიებსა და სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიებს ამტკიცებენ შესაბამისად თბილისის საქალაქო სასამართლოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს პრეზიდიუმები შესაბამისი სასამართლოს მოსამართლეთა რიცხვიდან.

სასამართლო კოლეგიების თავმჯდომარეებს სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეების ან წევრების რიცხვიდან ამტკიცებს შესაბამისი სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი თბილისის საქალაქო სასამართლოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეთა წარდგინებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეებს უფლება აქვთ საჭიროების შემთხვევაში თავიანთი განკარგულებით ერთი კოლეგიის მოსამართლე საქმის განსახილველად ჩააბან სხვა კოლეგიის შემადგენლობაში.

მუხლი 86. თბილისის საქალაქო სასამართლოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს სასამართლო კოლეგიათა უფლებამოსილება

თბილისის საქალაქო სასამართლოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიები და სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიები თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავენ საქმეებს პირველი ინსტანციით, საკასაციო წესით და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო.

სასამართლო კოლეგიები შეისწავლიან და განაზოგადებენ სასამართლო პრაქტიკას, ანალიზებენ სასამართლო სტატისტიკას და ახორციელებენ მათთვის კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 87. თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე:

1) უფლებამოსილია ითავმჯდომარეოს კოლეგიების სასამართლო სხდომებზე;

2) კანონით დადგენილ ფარგლებში და წესით პროტესტით შედის სასამართლო საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებზე, განაჩინებზე, განჩინებებსა და დადგენილებებზე;

3) კანონით დადგენილ შემთხვევებში და წესით უფლებამოსილია შეაჩეროს სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა და განჩინებათა აღსრულება;

4) იწვევს სასამართლოს პრეზიდიუმს და თავმჯდომარეობს მის სხდომებზე;

5) ხელმძღვანელობს სასამართლო კოლეგიების მუშაობის ორგანიზაციას, ხელმძღვანელობს სასამართლოს აპარატის მუშაობას;

6) წარუდგენს ანგარიშებს სასამართლოს საქმიანობის შესახებ და მოახსენებს ამ საქმიანობის თაობაზე შესაბამის სახალხო დეპუტატთა საბჭოს;

7) ორგანიზაციას უწევს მუშაობას სასამართლოს წევრებისა და სასამართლოს აპარატის მუშაკების კვალიფიკაციის ასამაღლებლად;

8) ორგანიზაციას უწევს სასამართლო პრაქტიკის შესწავლას და განზოგადებას, სასამართლო სტატისტიკის ანალიზს; სახელმწიფო ორგანოებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში და თანამდებობის პირებთან შეაქვს წარდგინებები კანონის დარღვევის, სამართალდარღვევის ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების თავიდან აცილების შესახებ;

9) აწარმოებს პირად მიღებას და ორგანიზაციას უწევს სასამართლოს მუშაობას მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის საქმეში;

10) ახორციელებს მისთვის კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე ანაწილებს მოვალეობებს თავმჯდომარის მოადგილეებს შორის.

მუხლი 38. თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეები

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეები:

1) უფლებამოსილი არიან ითავმჯდომარეონ კოლეგიების სასამართლო სხდომებზე;

2) მოვალეობათა განაწილების შესაბამისად ახორციელებენ სასამართლო კოლეგიებისა და სასამართლოს აპარატის მუშაობის ხელმძღვანელობას;

3) აწარმოებენ მოქალაქეთა პირად მიღებას;

4) ახორციელებენ მათთვის კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარის უფლება-მოვალეობებს მისი დავალებით ახორციელებს თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილე.

მუხლი 39. თბილისის საქალაქო სასამართლოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს სასამართლო კოლეგიათა თავმჯდომარეები

თბილისის საქალაქო სასამართლოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს სასამართლო კოლეგიათა თავმჯდომარეები:



- 1) თავმჯდომარეობენ კოლეგიების სასამართლო სხდომებზე ან ნებისმიერი ამისათვის სასამართლოს წევრებს;
 - 2) ხელმძღვანელობენ შესაბამისი კოლეგიების მუშაობას;
 - 3) ქმნიან სასამართლოს შემადგენლობებს კოლეგიების სასამართლო სხდომებზე საქმეთა განსახილველად;
 - 4) სასამართლოს პრეზიდიუმს წარუდგენენ ანგარიშებს კოლეგიათა საქმიანობის შესახებ;
 - 5) უფლებამოსილი არიან გამოითხოვონ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოებიდან სასამართლო საქმეები სასამართლო პრაქტიკის შესწავლა-განზოგადებისათვის;
 - 6) ახორციელებენ მათთვის კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.
- სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში სასამართლოს თავმჯდომარის უფლება-მოვალეობებს მისი დავალებით ახორციელებს საოლქო სასამართლოს სასამართლო კოლეგიათა ერთ-ერთი თავმჯდომარე.

თ ა ვ ი IV

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლო, აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლო

მუხლი 40. აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლო, აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლო — ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლო ორგანოებია

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლო, აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლო შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო ორგანოებია და ახორციელებენ ზედამხედველობას ავტონომიური რესპუბლიკის რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სასამართლო საქმიანობაზე სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილ წესით.

მუხლი 41. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს არჩევის წესი და ანგარიშვალდებულება

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოს ირჩევს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ხუთი წლის ვადით თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, უმაღლესი სასამართლოს წევრებისა და სახალხო მსაჯულების შემადგენლობით.

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს რიცხობრივ შემადგენლობას ადგენს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის წარდგინებით.

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო თავისი უფლებამოსილების პერიოდში ერთხელ მაინც ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს წარუდგენს ანგარიშს თავისი საქმიანობის შესახებ და სისტემატურად მოახსენებს ამ საქმიანობის თაობაზე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

მუხლი 42. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობა

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო მოქმედებს შემდეგი შემადგენლობით:

- 1) უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმი;
- 2) სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია;
- 3) სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია.

მუხლი 43. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო უფლებამოსილება

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო:

თავისი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავს საქმეებს პირველი ინსტანციით, საკასაციო წესით, ზედამხედველობის წესით და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო;

ახორციელებს რა ზედამხედველობას რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სასამართლო საქმიანობაზე, აგრეთვე შეისწავლის და განაზოგადებს სასამართლო პრაქტიკას, ანალიზებს სასამართლო სტატისტიკას;

ახორციელებს მისთვის კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის და აჭარის ასსრ კონსტიტუციის შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოში.

მუხლი 44. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმი

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმი იქმნება თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის და უმაღლესი სასამართლოს წევრების შემადგენლობით ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ განსაზღვრული რაოდენობით.

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის შემადგენლობას ამტკიცებს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით.

უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის სხდომებზე სასამართლო საქმეთა განხილვისას ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორის მონაწილეობა სავალდებულოა.

**მუხლი 45. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს
 ზიდიუმის უფლებამოსილება**

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმი:

1) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავს საქმეებს ზედამხედველობის წესით და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო;

2) უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით უმაღლესი სასამართლოს მოსამართლეთა რიცხვიდან ამტკიცებს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის და სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის შემადგენლობას;

3) განიხილავს სასამართლო პრაქტიკის შესწავლა-განზოგადების და სასამართლო სტატისტიკის ანალიზის მასალებს;

4) ისმენს სასამართლო კოლეგიათა თავმჯდომარეების ანგარიშებს კოლეგიების საქმიანობის შესახებ; განიხილავს სასამართლოს აპარატის მუშაობის საკითხებს;

5) განიხილავს და გადაწყვიტს საკითხებს წარდგინებათა შეტანის შესახებ ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოსა და ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში საკანონმდებლო ინიციატივის განხორციელების წესით, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში — ავტონომიური რესპუბლიკის კანონების განმარტების თაობაზე;

6) დახმარებას უწევს რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოებს კანონმდებლობის სწორად გამოყენებაში, ამასთან ახდენს ამ საქმიანობის კოორდინაციას ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსთან;

7) ახორციელებს მისთვის კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

**მუხლი 46. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პრე-
 ზიდიუმის მუშაობის წესი**

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის სხდომები ტარდება სულ ცოტა თვეში ორჯერ.

უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება პრეზიდიუმის წევრების უმრავლესობა.

პრეზიდიუმის დადგენილებას იღებენ ღია კენჭისყრით, კენჭისყრაში მონაწილე პრეზიდიუმის წევრთა ხმების უმრავლესობით.

პრეზიდიუმის დადგენილებას ხელს აწერს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე.

**მუხლი 47. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სასა-
 მართლო კოლეგიები**

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სა-
 მართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიას და სისხლის სამართლის საქმეთა

სასამართლო კოლეგიას ამტკიცებს უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმს უმაღლესი სასამართლოს მოსამართლეთა რიცხვიდან.

სასამართლო კოლეგიების თავმჯდომარეებს ამტკიცებს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით.

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს უფლება აქვს საჭიროების შემთხვევაში თავისი განკარგულებით ერთი კოლეგიის მოსამართლე საქმის განსახილველად ჩააბას სხვა კოლეგიის შემადგენლობაში.

მუხლი 48. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიათა უფლებამოსილება

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია და სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავენ საქმეებს პირველი ინსტანციით, საკასაციო წესით და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო.

სასამართლო კოლეგიები შეისწავლიან და განაზოგადებენ სასამართლო პრაქტიკას, ანალიზებენ სასამართლო სტატისტიკას და ახორციელებენ მათთვის კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 49. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე:

1. უფლებამოსილია თავმჯდომარეოს კოლეგიების სასამართლო სხდომებზე;

2) კანონით დადგენილ ფარგლებში და წესით პროტესტით შედის სასამართლოს საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებზე, განჩინებებზე, განჩინებებსა და დადგენილებებზე;

3) კანონით დადგენილ შემთხვევებში და წესით უფლებამოსილია შეაჩეროს სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა და განჩინებათა აღსრულება;

4) იწვევს სასამართლოს პრეზიდიუმს და თავმჯდომარეობს მის სხდომებზე;

5) ხელმძღვანელობს სასამართლო კოლეგიების მუშაობის ორგანიზაციას, ხელმძღვანელობს სასამართლოს აპარატის მუშაობას;

6) ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წარუდგენს ანგარიშებს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს საქმიანობის შესახებ და მოახსენებს ამ საქმიანობის თაობაზე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს;

7) ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში შეაქვს წარდგინებები იმ საკითხებზე, რომლებიც ავტონომიური რესპუბლიკის კანონების განმარტებას მოითხოვენ;

8) ორგანიზაციას უწევს მუშაობას სასამართლოს წევრებისა და სასამართლოს აპარატის მუშაების კვალიფიკაციის ასამაღლებლად;

9) ორგანიზაციას უწევს სასამართლო პრაქტიკის შესწავლა-განზოგადებას, სასამართლო სტატისტიკის ანალიზს; სახელმწიფო ორგანოებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში და თანამდებობის პირებთან შეაქვს წარდგინებები კანონის დარღვევის, სამართალდარღვევის ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების თავიდან აცილების შესახებ;

10) აწარმოებს პირად მიღებას და ორგანიზაციას უწევს სასამართლოს მუშაობას მოქალაქეთა მიღების, წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის საქმეში;

11) ახორციელებს მისთვის კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 50. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე:

- 1) უფლებამოსილია ითავმჯდომარეოს კოლეგიების სასამართლო სხდომებზე;
- 2) მოვალეობათა განაწილების შესაბამისად ახორციელებს სასამართლო კოლეგიებისა და სასამართლოს აპარატის მუშაობის ხელმძღვანელობას;
- 3) აწარმოებს მოქალაქეთა პირად მიღებას;
- 4) ახორციელებს მისთვის კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარის უფლება-მოვალეობებს მისი დავალებით ახორციელებს თავმჯდომარის მოადგილე.

მუხლი 51. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიათა თავმჯდომარეები

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიათა თავმჯდომარეები:

- 1) თავმჯდომარეობენ სასამართლო სხდომებზე იმ კოლეგიებში, რომელთაც ხელმძღვანელობენ, ან ნიშნავენ ამისათვის სასამართლოს წევრებს;
- 2) ხელმძღვანელობენ შესაბამისი კოლეგიების მუშაობას;
- 3) ქმნიან სასამართლოს შემადგენლობებს კოლეგიების სასამართლო სხდომებზე საქმეთა განსახილველად;

4) ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის წარუდგენენ ანგარიშებს კოლეგიათა საქმიანობის შესახებ;

5) უფლებამოსილი არიან გამოითხოვონ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოებიდან სასამართლო საქმეები სასამართლო პრაქტიკის შესწავლავანზოგადებისათვის;

6) ახორციელებენ მათთვის კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

თ ა ვ

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო

მუხლი 52. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო ორგანოა

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო ორგანოა და ახორციელებს ზედამხედველობას საქართველოს სსრ სასამართლოების სასამართლო საქმიანობაზე სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 53. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს არჩევის წესი და ანგარიშვალდებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ირჩევს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ხუთი წლის ვადით თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეების, უმაღლესი სასამართლოს წევრებისა და სახალხო მსაჯულების შემადგენლობით. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობაში თანამდებობის მიხედვით წევრის უფლებით შედიან აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეები.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს რიცხობრივ შემადგენლობას ადგენს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო უფლებამოსილების პერიოდში ერთხელ მაინც საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს წარუდგენს ანგარიშს თავისი საქმიანობის შესახებ და სისტემატურად მოახსენებს ამ საქმიანობის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

მუხლი 54. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის და სასამართლო კოლეგიათა თავმჯდომარეების დამტკიცების წესი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეთა რიცხვიდან ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველ მოადგი-

ლეს და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარეებს.

მუხლი 55. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობა

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო მოქმედებს შემდეგი შემადგენლობით:

- 1) საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი;
- 2) საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმი;
- 3) სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია;
- 4) სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია.

მუხლი 56. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს უფლებამოსილება

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო:

თავისი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავს საქმეებს პირველი ინსტანციით, საკასაციო წესით, ზედამხედველობის წესით და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო;

შეისწავლის და განაზოგადებს სასამართლო პრაქტიკას, აანალიზებს სასამართლო სტატისტიკას და სასამართლოებს აძლევს სახელმძღვანელო განმარტებებს სასამართლო საქმეთა განხილვისას წამოჭრილ საქართველოს სსრ კახონძებლობის გამოყენების საკითხებზე. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის სახელმძღვანელო განმარტებაში სავალდებულოა სასამართლოებისათვის, სხვა ორგანოებისა და თანამდებობის პირებისათვის, რომლებიც იყენებენ განმარტებულ კანონს;

ახორციელებს კონტროლს საქართველოს სსრ სასამართლოების მიერ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის სახელმძღვანელო განმარტებათა შესრულებაზე;

თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გადაწყვეტს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე საკითხებს;

ახორციელებს მისთვის კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოში.

მუხლი 57. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი მოქმედებს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეების, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრების, აფხაზეთის

ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეების, სასამართლო-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის შემაღლებლობით.

პლენუმის სხდომებში მონაწილეობენ საქართველოს სსრ პროკურორი და საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი. საქართველოს სსრ პროკურორის მონაწილეობა პლენუმის მუშაობაში სავალდებულოა.

პლენუმის სხდომებში საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოწვევით შეუძლიათ მონაწილეობა ძირითად მოსამართლეებმა, საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოსთან არსებული სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრებმა, სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების, სამეცნიერო დაწესებულებებისა და სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

მუხლი 58. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის უფლებამოსილება

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი:

1) განიხილავს სასამართლო პრაქტიკისა და სასამართლო სტატისტიკის მენეჯერისა და განზოგადების მასალებს, აგრეთვე საქართველოს სსრ პროკურორისა და საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის წარდგინებებს და სასამართლოებს აძლევს სახელმძღვანელო განმარტებებს საქართველოს სსრ კანონმდებლობის გამოყენების საკითხებზე; სასამართლოებისათვის სახელმძღვანელო განმარტებების მიცემის საკითხების განხილვისას მისივეს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს, რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების თავმჯდომარეთა ინფორმაციებს კანონმდებლობის გამოყენების თაობაზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ;

2) საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მოსამართლეთა რიცხვიდან ამტკიცებს სასამართლო კოლეგიათა შემადგენლობას და პლენუმის მდივანს;

3) საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოსთან არსებულ სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს;

4) განიხილავს და წყვეტს საკითხებს წარდგინებათა შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოსა ან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში საკანონმდებლო ინიციატივის განხორციელების წესით, ხოლო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში — კანონების განმარტების თაობაზე;

5) ისმენს ინფორმაციებს, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიათა თავმჯდომარეების ანგარიშებს კოლეგიების საქმიანობის თაობაზე;

6) განიხილავს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარისა და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებებს სსრ კავშირის, საქართველოს სსრ კანონმდებლობასთან და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებებთან საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სახელმძღვანელო განმარტებების შეუსაბამობის შესახებ;

7) ახორციელებს მისთვის კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლება-მოვალეობას.

მუხლი 59. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის განსახილველად შეტანილი საკითხების განხილვა

ამ კანონის შესაბამისად პლენუმის განსახილველად საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის, საქართველოს სსრ პროკურორის ან საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მიერ შეტანილ საკითხებზე მოისმენენ შესაბამისად მათ მოხსენებებს ან მათ მიერ უფლებამოსილი პირების მოხსენებებს. ამასთან საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ან საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მიერ განსახილველად შეტანილ საკითხებზე საქართველოს სსრ პროკურორი აძლევს დასკვნას. ამ საკითხების განხილვაში აგრეთვე შეიძლება მონაწილეობა მიიღონ საქართველოს სსრ პლენუმის სხდომაზე მოწვეულმა პირებმა.

სახელმძღვანელო განმარტებათა შესახებ დადგენილების პროექტის მომზადებისათვის პლენუმი საჭიროების შემთხვევაში პლენუმის წევრთა რიცხვიდან ქმნის სარედაქციო კომისიას.

მუხლი 60. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მუშაობის წესი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმს იწვევენ ოთხ თვეში ერთხელ მაინც, პლენუმის მოწვევის დროისა და მის განსახილველად შეტანილი საკითხების შესახებ პლენუმის წევრებს, საქართველოს სსრ პროკურორს და საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრს აცნობებენ არა უგვიანეს თხუთმეტი დღისა სხდომამდე.

პლენუმის დადგენილებათა პროექტები ეგზავნებათ პლენუმის წევრებს, საქართველოს სსრ პროკურორს და საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრს არა უგვიანეს ათი დღისა სხდომამდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება მისი შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედისა. პლენუმის დადგენილებას იღებენ ღია კენჭისყრით, კენჭისყრაში მონაწილე პლენუმის წევრთა ხმების უმრავლესობით.

პლენუმის დადგენილებას ხელს აწერენ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე და პლენუმის მდივანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის შესრულებასთან

ერთად ეწევა ორგანიზაციულ მუშაობას პლენუმის სხდომების მოსამზადებლად, უზრუნველყოფს ოქმის შედგენას და ასრულებს პლენუმის მიერ მიღებულ დადგენილებათა განსახორციელებლად საჭირო მოქმედებებს.

მუხლი 61. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმი იქმნება საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის, მისი მოადგილეების და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრების შემადგეილოით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ განსახვრუელი რაოდენობით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის შემადგენლობას საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის სხდომებზე სასამართლო საქმეთა განხილვისას საქართველოს სსრ პროკურორის მონაწილეობა სავალდებულოა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმს იწვევენ სულ ცოტა თვეში ერთხელ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება პრეზიდიუმის შემადგეხლობის უმრავლესობა.

პრეზიდიუმის დადგეხილებას იღებენ ღია კეხტისყრით, კეხტისყრაში მონაწილე პრეზიდიუმის წევრთა ხმების უმრავლესობით და მას ხელს აწერს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე.

მუხლი 62. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის უფლებამოსილება

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმი:

1) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავს საქმეებს ზედამხედველობის წესით და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო;

2) განიხილავს სასამართლო პრაქტიკის შესწავლა-განზოგადების და სასამართლო სტატისტიკის ანალიზის მასალებს;

3) განიხილავს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიებისა და აპარატის მუშაობის ორგანიზაციის საკითხებს;

4) დახმარებას უწევს ქვემდგომ სასამართლოებს კანონმდებლობის სწორად გამოყენებაში, ამასთან ახდენს ამ საქმიანობის კოორდინაციას საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან;

5) განახორციელებს მისთვის კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 63. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიები

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიას და სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო

კოლეგიას ამტიციებს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრთა რიცხვიდას.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს უფლება აქვს საჭიროების შემთხვევაში თავისი განკარგულებით ერთი კოლეგიის მონაშართულ საქმის განხილვისათვის ჩააბას სხვა კოლეგიის შემადგენლობაში.

მუხლი 64. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიათა უფლებამოსილება

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია და სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილვენ საქმეებს პირველი ინსტანციით, საკასაციო წესით, ზედამხედველობის წესით და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო.

სასამართლო კოლეგიები შეისწავლიან და განაზოგადებენ სასამართლო პრაქტიკას, ააიალიზებენ სასამართლო სტატისტიკას და ასორციელებენ მათთვის კახონმდებლობით მიხიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 65. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე;

1) კახონით დადგენილ ფარგლებში და წესით აორიენსით შედის სასამართლო საქმეებზე გამოტახილ გადაწყვეტილებებზე, გასაჩივებზე, გასჩივებებსა და დადგენილებებზე;

2) კახონით დადგენილ შემთხვევებში და წესით უფლებამოსილია შეაჩეროს სასამართლო საქმეებზე გადაწყვეტილებების, გასაჩივების, გასჩივებისა და დადგენილებების აღსრულება;

3) იწვევს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმს და თავმჯდომარეობის მის სხდომებზე;

4) იწვევს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმს და მის განსახილველად შეაქვს საკითხები, რომლებიც პრეზიდიუმის გადაწყვეტას საჭიროებენ; თავმჯდომარეობს მის სხდომებზე; შეუძლია ითავმჯდომარეობს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კოლეგიების სასამართლო სხდომებზე ნებისმიერი საქმის განხილვისას;

5) ორგანიზაციას უწევს სასამართლო პრაქტიკის შესწავლა-განზოგადებას, სასამართლო სტატისტიკის ანალიზს; სახელმწიფო ორგანოებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში და თანამდებობის პირებთან შეაქვს წარდგინებები კანონის დარღვევის, სამართალდარღვევათა ჩადენის ხელშეწყობი მიზეზებისა და პირობების თავიდან აცილების შესახებ, აგრეთვე ორგანიზაციას უწევს მუშაობას სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის სახელმძღვანელო განმარტებათა შესრულებაზე კონტროლის განსახორციელებლად და შეაქვს მასალები პლენუმის განსახილველად;

6) საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს წარუდგენს ანგარიშს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს საქმიანობის შესახებ და მოახსენებს ამ საქმიანობის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს;

7) საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში შეაქვს წარდგინებები იმ საკითხებზე, რომლებიც საქართველოს სსრ კანონების განმარტებას მოითხოვენ;

8) საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმზე შეაქვს წარდგინებები სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობასთან ან სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებებთან საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის სახელმძღვანელო განმარტებების შეუსაბამობის შესახებ, ხოლო საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მიერ წარდგინების უარყოფის შემთხვევაში შეაქვს წარდგინება სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარესთან, თუ პლენუმის სახელმძღვანელო განმარტება არ შეესაბამება სსრ კავშირის კანონმდებლობას ან სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებებს, ანდა შეაქვს წარდგინება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, თუ პლენუმის სახელმძღვანელო განმარტება არ შეესაბამება საქართველოს სსრ კანონმდებლობას;

9) ანაწილებს მოვალეობებს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეებს შორის;

10) ხელმძღვანელობს სასამართლო კოლეგიათა მუშაობის ორგანიზაციას; ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს აპარატის მუშაობას;

11) აწარმოებს პირად მიღებას და ორგანიზაციას უწევს სასამართლოს მუშაობას მოქალაქეთა მიღების, წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის საქმეში;

12. ახორციელებს მისთვის კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 66. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეები

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეები;

1) უფლებამოსილი არიან ითავმჯდომარეონ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კოლეგიათა სასამართლო სხდომებზე;

2) კანონით დადგენილ ფარგლებში და წესით პროტესტით შედიან სასამართლო საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებზე, განაჩენებზე, განჩინებებსა და დადგენილებებზე;

3) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით უფლებამოსილი არიან შეაჩერონ სასამართლო საქმეებზე გადაწყვეტილებების, განაჩენების, განჩინებებისა და დადგენილებების აღსრულება,

4) მოვალეობათა განაწილების შესაბამისად ახორციელებენ ხელმძღვანელობას საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიათა და აპარატის სტრუქტურული ქვეგანყოფილების მუშაობაზე;

5) აწარმოებენ მოქალაქეთა პირად მიღებას;

6) ახორციელებენ მათთვის კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის უფლება-მოვალეობებს ახორციელებს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ხოლო პირველი მოადგილის არყოფნის შემთხვევაში — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე.

მუხლი 67. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიათა თავმჯდომარეები

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიისა და სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარეები:

1) თავმჯდომარეობენ სასამართლო სხდომებს იმ კოლეგიაში, რომელსაც ხელმძღვანელობენ, ან ამისათვის ნიშნავენ სასამართლოს წევრებს;

2) ქმნიან სასამართლო შემადგენლობებს კოლეგიების სასამართლო სხდომებზე საქმეთა განსახილველად;

3) ხელმძღვანელობენ შესაბამისი კოლეგიების მუშაობას;

4) საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმს წარუდგენენ ანგარიშებს კოლეგიების საქმიანობის შესახებ;

5) უფლებამოსილი არიან გამოითხოვონ სასამართლო საქმეები სასამართლო პრაქტიკის შესწავლა-განზოგადებისათვის;

6) ორგანიზაციას უწევენ მუშაობას შესაბამისი სასამართლო კოლეგიის სასამართლოს წევრების კვალიფიკაციის ასამაღლებლად;

7) ახორციელებენ მათთვის კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 68. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო გამოსცემს „საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენს“.

პ ა რ ი III

მოსამართლეები და სახალხო მსაჯულები

მუხლი 69. მოსამართლეობისა და სახალხო მსაჯულობის კანდიდატებისადმი წაყენებული მოთხოვნები

მოსამართლედ და სახალხო მსაჯულად შეიძლება არჩეულ იქნეს საქართველოს სსრ ყოველი მოქალაქე, რომელსაც არჩევნების დღისათვის შეუსრულდა 25 წელი.

სხვა მოკავშირე რესპუბლიკის მოქალაქეები საქართველოს სსრ ტერიტორიაზე შეიძლება არჩეულ იქნენ მოსამართლეებად და სახალხო მსაჯულებად საქართველოს სსრ მოქალაქეთა თანასწორად.

მუხლი 70. სასამართლოში მოვალეობათა შესასრულებლად სახალხო მსაჯულების მოწვევის ვადა

სახალხო მსაჯულებს სასამართლოში თავიანთი მოვალეობის შესასრულებლად მოიწვევენ რიგ-რიგობის წესით ვადით არა უმეტეს ორი კვირისა წელიწადში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ ვადის გაგრძელება აუცილებელია მათი მონაწილეობით დაწყებული სასამართლო საქმის დასამთავრებლად.

მუხლი 71. სახალხო მსაჯულებისათვის ხელფასის შენარჩუნება სასამართლოში მათ მიერ მოვალეობათა შესრულების დროს

სახალხო მსაჯულებს მუშათა, კოლმეურნეთა და მოსამსახურეთა რიცხვიდან სასამართლოში მათ მიერ მოვალეობათა შესრულების დროს ენახებათ საშუალო ხელფასი მუდმივი სამუშაო ადგილის მიხედვით.

სახალხო მსაჯულებს, რომლებიც არ არიან მუშები, კოლმეურნეები და მოსამსახურეები, სასამართლოში მათი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით აუნაზღაურდებათ ხარჯები. ანაზღაურების წესსა და ოდენობას ადგენს საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

მუხლი 72. მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევა

მოსამართლეებსა და სახალხო მსაჯულებს უფლებამოსილება ვადამდე შეიძლება ჩამოერთვათ იმ შემთხვევაში, თუ მათ გაიწვევენ ამომრჩევლები ან მათი ამრჩევი ორგანო, ანდა თუ მათ მიმართ გამოტანილია სასამართლო განაჩენი.

საქართველოს სსრ სასამართლოების მოსამართლეები და სახალხო მსაჯულები შეიძლება გაწვეულ იქნენ, თუ მათ არ გაამართლეს ამომრჩეველთა ან მათი ამრჩევი ორგანოს ნდობა, ან ჩაიდინეს მოსამართლისა თუ სახალხო მსაჯულის მაღალი წოდებისათვის შეუფერებელი მოქმედება.

საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევის წესს განსაზღვრავს საქართველოს სსრ კანონი „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევის წესის შესახებ“.

თბილისის საქალაქო სასამართლოსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეები, თავმჯდომარის მოადგილეები, წევრები და სახალხო მსაჯულები შეიძლება გაწვეულ იქნენ შესაბამისი სახალხო დეპუტატთა საბჭოს მიერ.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეები, თავმჯდომარის მოადგილეები, წევრები და სახალხო მსაჯულები შეიძლება გაწვეულ იქნენ ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ, ხოლო სესიებს შუა პერიოდში — ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი

საბჭოს პრეზიდიუმის მიერ, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიაზე ამასთან დაკავშირებით გამოცემული ბრძანებულების დასამტკიცებლად შემდგომი წარდგენის პირობით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები, წევრები და სახალხო მსაჯულები შეიძლება გაწვეულ იქნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ, ხოლო სესიებს შუა პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიაზე ამასთან დაკავშირებით გამოცემული ბრძანებულების დასამტკიცებლად შემდგომი წარდგენის პირობით.

მუხლი 73. მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა ვადამდე განთავისუფლება

საქართველოს სსრ სასამართლოების მოსამართლეები და სახალხო მსაჯულები უფლებამოსილების ვადის დამთავრებამდე თავიანთი მოვალეობის შესრულებისაგან შეიძლება განთავისუფლდნენ ხანგრძლივ ავადმყოფობასთან დაკავშირებით, აგრეთვე მათი თხოვნით, — სხვა საპატიო მიზეზის გამო.

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეებს ვადამდე გაათავისუფლებენ შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის წარდგინებით.

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულებს ვადამდე გაათავისუფლებენ მოქალაქეთა კრებებზე სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, აგრეთვე სამხედრო მოსამსახურეთა კრებებზე — ჯარის ნაწილებში, სადაც ისინი არჩეული იყვნენ სახალხო მსაჯულებად.

თბილისის საქალაქო სასამართლოსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები, წევრები და სახალხო მსაჯულები შეიძლება ვადამდე განთავისუფლდნენ შესაბამის სახალხო დეპუტატთა საბჭოს მიერ.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეები, თავმჯდომარის მოადგილეები, წევრები და სახალხო მსაჯულები შეიძლება ვადამდე გაათავისუფლდნენ ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ, ხოლო სესიებს შუა პერიოდში — ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიაზე ამასთან დაკავშირებით გამოცემული ბრძანებულების დასამტკიცებლად შემდგომი წარდგენის პირობით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები, წევრები და სახალხო მსაჯულები შეიძლება ვადამდე განთავისუფლდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ, ხოლო სესიებს შუა პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიაზე ამასთან დაკავშირებით გამოცემული ბრძანებულების დასამტკიცებლად შემდგომი წარდგენის პირობით.

მუხლი 74. მოსამართლეებისა და სახალხო მსაჯულების არჩევა გამოკლებულის ნაცვლად

საქართველოს სსრ სასამართლოების ცალკეული მოსამართლეებისა და სახალხო მსაჯულების გამოკლების შემთხვევაში დარჩენილი უფლებამოსილების ვადით ტარდება სახალხო მოსამართლეებისა და სახალხო მსაჯულების არჩევნები.

საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა არჩევა გამოკლებულის ნაცვლად ტარდება «საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების შესახებ» საქართველოს სსრ კანონით დადგენილი წესით.

თბილისის საქალაქო სასამართლოსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეებს, თავმჯდომარის მოადგილეებს, წევრებს და სახალხო მსაჯულებს გამოკლებულის ნაცვლად ირჩევს შესაბამისი სახალხო დეპუტატთა საბჭო.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეებს, თავმჯდომარის მოადგილეებს, წევრებს და სახალხო მსაჯულებს გამოკლებულის ნაცვლად ირჩევს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო. ხოლო სესიებს შუა პერიოდში — ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიაზე ამასთან დაკავშირებით გამოცემული ბრძანებულების დასამტკიცებლად შემდგომი წარდგენის პირობით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეებს, წევრებს და სახალხო მსაჯულებს გამოკლებულის ნაცვლად ირჩევს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო. ხოლო სესიებს შუა პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიაზე ამასთან დაკავშირებით გამოცემული ბრძანებულების დასამტკიცებლად შემდგომი წარდგენის პირობით.

მუხლი 75. მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა ხელშეუხებლობა

მოსამართლეები, აგრეთვე სახალხო მსაჯულები სასამართლოში მათ მიერ მოვალეობათა შესრულების დროს არ შეიძლება მიცემულ იქნენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში, დაპატიმრებული ან დასჯილნი სასამართლო წესით ადმინისტრაციული სახდელით:

1) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლენი და სახალხო მსაჯულები. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს, თბილისის საქალაქო სასამართლოს, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეები, თავმჯდომარის მოადგილეები, წევრები და

სახალხო მსაჯულები — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თანხმობის გარეშე;

2) საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები და წევრები, აგრეთვე ამ სასამართლოს სახალხო მსაჯულები — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თანხმობის გარეშე. ხოლო სესიებს შუა პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თანხმობის გარეშე.

მუხლი 76. მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა

საქართველოს სსრ სასამართლოების მოსამართლეებს ეკისრებათ დისციპლინური პასუხისმგებლობა იმ წესით, რომელსაც ითვალისწინებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული დებულება საქართველოს სსრ სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ.

პ ა რ ი V

საქართველოს სსრ სასამართლოების საქმიანობის ორგანიზაციის სხვა საკითხები

მუხლი 77. სასამართლოს აღმასრულებელი

სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა, განჩინებათა და დადგენილებათა აღსრულებას, სისხლის სამართლის საქმეებზე განაჩენთა, განჩინებათა და დადგენილებათა აღსრულებას ქონებრივი გადახდევინების ნაწილში, აგრეთვე სხვა გადაწყვეტილებათა და დადგენილებათა აღსრულებას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში აწარმოებენ სასამართლოს აღმასრულებლები.

სასამართლოს აღმასრულებლები იმყოფებიან სასამართლოებთან და მათნიშნავს შესაბამისად საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ იუსტიციის მინისტრები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დებუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილების უფროსი.

რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოებში, სადაც ორი და მეტი სასამართლოს აღმასრულებელია, ერთ-ერთი მათგანი დაინიშნება უფროს აღმასრულებლად.

სასამართლოს აღმასრულებლის მოფხოვნები სასამართლოს იმ განაჩენის, გადაწყვეტილების, განჩინებისა და დადგენილების, სხვა გადაწყვეტილებისა და დადგენილების აღსრულების შესახებ, რომლებიც აღსასრულებელია სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად, სავალდებულოა საქართველოს სსრ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მთელ ტერიტორიაზე.

რიზე ყველა სახელმწიფო საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, მუშაობის, სხვა კოოპერაციული ორგანიზაციის, მისი გაერთიანების, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის, თანამდებობის პირისა და მოქალაქისათვის.

მუხლი 78. საქართველოს სსრ სასამართლოების აპარატის სტრუქტურა და საშტატო რაოდენობა

მართლმსაჯულების განხორციელების, სასამართლო პრაქტიკის განზოგადების და სხვა საქმიანობისათვის სასამართლოების მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს სსრ სასამართლოებში მოქმედებს სასამართლო აპარატი.

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს აპარატის სტრუქტურას და საშტატო რაოდენობას ადგენენ შესაბამისად საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ იუსტიციის მინისტრები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილების უფროსი საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსათვის დადგენილი წესით გამოყოფილი საშტატო რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს აპარატების სტრუქტურასა და საშტატო რაოდენობას ამტკიცებს საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით.

სასამართლო პრაქტიკის შესწავლის, განზოგადების და სასამართლო სტატისტიკის ანალიზის, საბჭოთა კანონმდებლობის სისტემატიზაციისა და პრობანდისათვის მუშაობის ჩასატარებლად და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა ფუნქციათა შესასრულებლად საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს აპარატის შემადგენლობაში იქმნება განყოფილებები და სხვა სტრუქტურული ქვეგანყოფილები. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიებს და განყოფილებებს ჰყავთ უფროსი კონსულტანტები და კონსულტანტები, ინსპექტორები, აგრეთვე სხვა მუშაკები და უმცროსი მომსახურე პერსონალი.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს აპარატის სტრუქტურასა და საშტატო რაოდენობას ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს საშტატო განრიგს და დებულებებს განყოფილებათა და სხვა სტრუქტურულ ქვეგანყოფილათა შესახებ ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე.

მუხლი 79. საქართველოს სსრ სასამართლოების ბეჭედი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს, სამხრეთ



ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს, რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოებს აქვთ ბეჭედი საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბის გამოსახულებით და თავისი სახელწოდებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1981 წლის 25 ნოემბერი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

293 საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების შესახებ

კ ა რ ი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევის ძირითადი პრინციპები

საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეებს ირჩევენ რაიონის, ქალაქის, ქალაქის რაიონის მოქალაქენი საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით სუთი წლის ვადით.

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულებს ირჩევენ მოქალაქეთა კრებებზე მათი სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურეთა კრებებზე — ჯარის ნაწილებში ღია კენჭისყრით ორ-ნახევარი წლის ვადით.

მუხლი 2. საყოველთაო საარჩევნო უფლება

საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა არჩევნები საყოველთაოა: საქართველოს სსრ ყველა მოქალაქეს, რომელსაც 18 წელი შეუსრულდა, უფლება აქვს აირჩიოს, გარდა იმ პირებისა, რომლებიც კანონით დადგენილი წესით ცნობილი არიან შეშლილებად; რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლედ და სახალხო მსაჯულად შეიძლება არჩეულ იქნეს საქართველოს სსრ ყოველი მოქალაქე, რომელსაც არჩევნების დღისათვის 25 წელი შეუსრულდა.

აკრძალულია საქართველოს სსრ მოქალაქეთა საარჩევნო უფლებები იმე პირდაპირი თუ არაპირდაპირი შეზღუდვა წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, მოცემულ ადგილზე ცხოვრების დროის, საქმიანობის სახეობისა თუ ხასიათის გამო.

მუხლი 3. თანასწორი საარჩევნო უფლება

საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა არჩევნები თანასწორია: ყოველ ამომრჩეველს ერთი ხმა აქვს; ყველა ამომრჩეველი თანასწორ საფუძველზე მონაწილეობს არჩევნებში.

ქალებსა და მამაკაცებს თანასწორი საარჩევნო უფლებები აქვთ.

სამხედრო მოსამსახურეები ყველა მოქალაქის თანასწორად სარგებლობენ საარჩევნო უფლებებით.

მუხლი 4. პირდაპირი საარჩევნო უფლება

საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა არჩევნები პირდაპირია. სახალხო მოსამართლეებსა და სახალხო მსაჯულებს მოქალაქენი უშუალოდ ირჩევენ.

მუხლი 5. ფარული კენჭისყრა სახალხო მოსამართლეთა არჩევნების დროს

საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნების დროს კენჭისყრა ფარულია: ამომრჩევლთა ნება-სურვილის გამოვლინებისადმი კონტროლი არ დაიშვება.

მუხლი 6. სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მოქალაქეთა საარჩევნო უფლებები

სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მოქალაქენი საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სარგებლობენ საქართველოს სსრ მოქალაქეთა თანასწორი უფლებით — აირჩიონ და არჩეულ იქნენ სახალხო მოსამართლედ და სახალხო მსაჯულად.

მუხლი 7. საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების შექმნა

„საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ“ კანონის შესაბამისად საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოები იქმნება რაიონში, ქალაქში (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების გარდა), ქალაქის რაიონში; რაიონისა და ქალაქისათვის შეიძლება შეიქმნას ერთი რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლო.

მუხლი 8. რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოში ასარჩევ ხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა რაოდენობა

თითოეულ რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოში ასარჩევ სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა რაოდენობას აწესებენ შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ იუსტიციის მინისტრების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილების უფროსის წარდგინებით.

მუხლი 9. სახალხო მოსამართლეთა არჩევნების ჩატარება საარჩევნო ოლქებში

საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეებს საარჩევნო ოლქების მიხედვით ირჩევენ თითოეული საარჩევნო ოლქიდან ირჩევენ ერთ სახალხო მოსამართლეს.

მუხლი 10. სახალხო მოსამართლეთა არჩევნების ჩატარება საარჩევნო კომისიების მიერ

საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნების ჩატარებას უზრუნველყოფენ საარჩევნო კომისიები, რომლებიც იქმნება საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივებისა და ჯარის ნაწილების სამხედრო მოსამსახურეთა კრებების წარმომადგენლებისაგან.

მუხლი 11. საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივებისა და მოქალაქეების მონაწილეობა არჩევნების მომზადებასა და ჩატარებაში

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, პროფესიული კავშირების, სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ორგანიზაციები, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, შრომითი კოლექტივები მონაწილეობენ საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა არჩევნების მომზადებასა და ჩატარებაში როგორც საარჩევნო კომისიებში თავიანთი წარმომადგენლების მეშვეობით, ისე უშუალოდაც.

საქართველოს სსრ მოქალაქენი არჩევნების მომზადებასა და ჩატარებაში მონაწილეობენ საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების, ჯარის ნაწილების სამხედრო მოსამსახურეთა კრებების, ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებების მეშვეობით.

მუხლი 12. სახალხო მოსამართლეობისა და სახალხო მსაჯულობის დატების დასახელების უფლება

საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეობისა და სახალხო მსაჯულობის კანდიდატების დასახელების უფლება აქვთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, პროფესიულა კავშირების, სრულიად საქავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ორგანიზაციებს, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, შრომითს კოლექტივებს, აგრეთვე ჯარის ნაწილების სამხედრო მოსამსახურეთა კრებებს.

საქართველოს სსრ მოქალაქეებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის გარანტირებულია სახალხო მოსამართლეობისა და სახალხო მსაჯულობის კანდიდატების პოლიტიკური, საქმიანი და პირადი თვისებების თავისუფალი და ყოველმხრივი განხილვა, აგრეთვე კრებებზე, პრესაში, ტელევიზიით, რადიოთი აგიტაციის უფლება.

მუხლი 13. საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯები

საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

მუხლი 14. პასუხისმგებლობა არჩევნების შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის

საარჩევნო კომისიათა წევრებს, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების თანამდებობის პირებს, რომლებმაც სახალხო მოსამართლეთა არჩევნების დროს გააყალბეს საარჩევნო დოკუმენტები, განზრახ არასწორად დათვალიეს ხმები, დაარღვიეს კენჭისყრის საიდუმლოება ან დაუშვეს ამ კანონის სხვა დარღვევები, აგრეთვე პირებს, რომლებიც ხელს შეუშლიან საქართველოს სსრ მოქალაქეს თავისუფლად განახორციელოს თავისი უფლება — აირჩიოს და იყოს არჩეული სახალხო მოსამართლედ ან სახალხო მსაჯულად, ეკისრებათ კანონით დადგენილი პასუხისმგებლობა.

კ ა რ ი ი

სახალხო მოსამართლეთა არჩევნების ჩატარების წესი

თ ა ვ ი ი

არჩევნების დანიშვნის წესი, საარჩევნო ოლქების შექმნა

მუხლი 15. არჩევნების დანიშვნის წესი

საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნები ტარდება ერთი დღის განმავლობაში, რომ-

მელიც საერთოა საქართველოს სს რესპუბლიკისათვის, და რომელსაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება არჩევნების დანიშვნის შესახებ პრესაში ქვეყნდება არა უგვიანეს ორი თვისა საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადის გასვლამდე.

მუხლი 16. საარჩევნო ოლქების შექმნა

სახალხო მოსამართლეთა არჩევნებისათვის სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი რაიონის, ქალაქის, ქალაქის რაიონის ტერიტორიაზე ქმნის საარჩევნო ოლქებს.

თითოეული რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლეთა არჩევნებისათვის საარჩევნო ოლქების რაოდენობას აწესებენ შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ასარჩევ სახალხო მოსამართლეთა რაოდენობის მიხედვით.

საარჩევნო ოლქები მოსახლეობის თანაბარი რაოდენობის მიხედვით იქმნება რაიონის, ქალაქის, ქალაქის რაიონის მთელ ტერიტორიაზე საარჩევნო ოლქების საზღვრების დადგენისას გაითვალისწინება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა და სხვა თავისებურებანი.

სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები საარჩევნო ოლქების სიებს აქვეყნებენ არა უგვიანეს მეთუე დღისა არჩევნების დანიშვნის შემდეგ.

თავი II

საარჩევნო უბნები

მუხლი 17. საარჩევნო უბნების შექმნა

საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნების კენჭისყრის ჩასატარებლად და ხმების დასათვლელად რაიონების, ქალაქების, ქალაქის რაიონების ტერიტორია იყოფა საარჩევნო უბნებად. საარჩევნო უბნები იქმნება ჯარის ნაწილებშიც.

საარჩევნო უბნები შეიძლება შეიქმნას სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში, საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში, დიდ რკინიგზის სადგურებში, აეროპორტებში, საზღვაო ნავსადგურებში, აგრეთვე არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე.

არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე შექმნილი საარჩევნო უბნების სახალხო მოსამართლეთა არჩევნების საარჩევნო ოლქებისადმი მიკუთ-



ვნების საკითხს წყვეტენ საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, რომელთა ტერიტორიაზეა გემების მიწერის ნავსადგურები.

მუხლი 18. საარჩევნო უბნების შექმნის წესი

საარჩევნო უბნებს ქმნიან სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების გარდა), ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები. არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე საარჩევნო უბნებს ქმნიან საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, რომელთა ტერიტორიაზეა გემების მიწერის ნავსადგურები.

ჯარის ნაწილებში საარჩევნო უბნებს ქმნიან ნაწილების ან ჯარის შენაერთების მეთაურები სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან შეთანხმებით.

საარჩევნო უბნები იქმნება არა უგვიანეს მეთხუთმეტე დღისა არჩევნების დანიშვნის შემდეგ. ჯარის ნაწილებში, აგრეთვე დიდ რკინიგზის სადგურებში, აეროპორტებში, საზღვაო ნავსადგურებში, არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე საარჩევნო უბნები იქმნება ამავე ვადაში, ხოლო ვაიონაკლის შემთხვევაში — არა უგვიანეს ხუთი დღისა არჩევნებამდე.

შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი აწესებს საარჩევნო უბნების ერთიან ნუმერაციას რაიონის, ქალაქის, ქალაქის რაიონის ფარგლებში, აცნობებს მოსახლეობას თითოეული საარჩევნო უბნის საზღვრებს და საუბნო საარჩევნო კომისიისა და ხმის მიცემის შენობის ადგილსამყოფელს.

მუხლი 19. საარჩევნო უბნების შექმნის ნორმები

დასახლებულ პუნქტში ან დასახლებული პუნქტების ჯგუფში საარჩევნო უბნები იქმნება არანაკლებ 100 და არა უმეტეს 3000 ამომრჩევლისათვის.

რაიონებში, სადაც მცირე დასახლებული პუნქტები ჭარბობს, აგრეთვე მთის რაიონებში, არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე საარჩევნო უბნები შეიძლება შეიქმნას, თუ არის სულ ცოტა 20 ამომრჩეველი.

ჯარის ნაწილებში საარჩევნო უბნები იქმნება არანაკლებ 20 და არა უმეტეს 3000 ამომრჩევლისათვის.

სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებში, აგრეთვე საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში საარჩევნო უბნები შეიძლება შეიქმნას, თუ არის სულ ცოტა 50 ამომრჩეველი.

თავი III

ამომრჩეველთა სიები

მუხლი 20. ამომრჩეველთა სიებში მოქალაქეთა შეტანის წესი

ამომრჩეველთა სიებში შეაქვთ საქართველოს სსრ ყველა მოქალაქე, რომელთაც არჩევნების დღისათვის ან არჩევნების დღეს 18 წელი შეუსრულდაა



და სიების შედგენის მომენტისათვის ცხოვრობენ (მუდმივად ან დროებით) სახალხო დეპუტატთა მოცემული საბჭოს ტერიტორიაზე. თუ არ არსებობს მოქალაქის დაბადების დღისა და თვის შესახებ ზუსტი მონაცემები, იგი ჩაითვლება შესაბამისი წლის პირველ იანვარს დაბადებულად. ამომრჩევლის შეტანა ამომრჩეველთა ერთზე მეტ სიაში არ შეიძლება.

საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები უზრუნველყოფენ ამომრჩეველთა აღრიცხვას, რაც საჭიროა ამომრჩეველთა სიების შესადგენად.

ამომრჩეველთა სიებში არ შეაქვთ მოქალაქენი, რომლებიც შეშლილებად არიან ცნობილი მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ჯანმრთელობის დაცვის რესპუბლიკური ორგანოს მიერ შექმნილი საექიმო კომისიის დასკვნით. აღნიშნული დასკვნა შეიძლება გასაჩივრდეს რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოში.

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მცხოვრები უცხოელი მოქალაქენი და მოქალაქეობის არმქონე პირნი ამომრჩეველთა სიებში არ შეაქვთ.

მუხლი 21. ამომრჩეველთა სიების შედგენა

ამომრჩეველთა სიებს თითოეული საარჩევნო უბნის მიხედვით ადგენენ სახალხო დეპუტატთა საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები და ხელს აწერენ შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე და მდივანი.

ჯარის ნაწილებში მყოფ სამხედრო მოსამსახურე-ამომრჩეველთა სიებს ადგენენ და ხელს აწერენ ჯარის ნაწილების მეთაურები. საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან შეთანხმებით ამ სიებში შეიძლება შეიტანონ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრები და სხვა ამომრჩევლები, თუ ისინი ჯარის ნაწილების განლაგების რაიონებში ცხოვრობენ. ჯარის ნაწილების გარეთ მცხოვრები სამხედრო მოსამსახურენი ამომრჩეველთა სიებში შეაქვთ მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით საერთო საფუძველზე.

არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე ამომრჩეველთა სიებს ადგენენ და ხელს აწერენ გემების კაპიტნები.

ამომრჩეველთა სიებს, რომლებიც დასასვენებლად ან სამკურნალოდ იმყოფებიან სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებში, აგრეთვე საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში, ადგენენ იმ საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, რომელთა ტერიტორიაზე განლაგებულია ეს დაწესებულებები.

ამომრჩეველთა გვარები ამომრჩეველთა სიებში შეაქვთ ანბანის მიხედვით.

მუხლი 22. მოქალაქეებისათვის ამომრჩეველთა სიების გაცნობა

ამომრჩეველთა სიებს საყოველთაო გაცნობისათვის წარმოადგენენ არჩევნებამდე 20 დღით ადრე.

სახალხო დემოკრატიული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, რომელმაც ამომრჩეველთა სიები შეადგინა, უშუალოდ ან საუბნო საარჩევნო კომისიების მეშვეობით აცნობებს ამომრჩევლებს სიების გაცნობის ადგილსა და დროს.

მოქალაქეებს შესაძლებლობა ეძლევათ გაეცნონ ამომრჩეველთა სიებს და შეამოწმონ მათი შედგენის სისწორე შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ან საუბნო საარჩევნო კომისიის შენობაში.

მუხლი 23. მოქალაქეთა უფლება გაასაჩივრონ უსწორობანი ამომრჩეველთა სიაში

ყოველ მოქალაქეს უფლება ეძლევა გაასაჩივროს ამომრჩეველთა სიაში შეუტანლობა, უსწორო შეტანა ან სიიდან ამოღება, აგრეთვე სიაში ჩაწერილი გვარის, სახელის, მამის სახელისა და ამომრჩევლის შესახებ სხვა მონაცემების უზუსტობანი.

ამომრჩეველთა სიაში უსწორობათა შესახებ განცხადება წარედგინება სიის შემდგენელ სახალხო დემოკრატიული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, ჯარის ნაწილის მეთაურს, გემის კაპიტანს, რომლებიც მოვალე არიან არა უგვიანეს ორი დღის ვადაში განიხილონ ასეთი განცხადება და შეიტანონ საჭირო შესწორებანი ამომრჩეველთა სიაში ან მისცენ განმცხადებელს მისი განცხადების უარყოფის შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილების პირი.

საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოში, რომელიც მოვალეა განიხილოს საჩივარი სამი დღის ვადაში. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა. ამ გადაწყვეტილების შესაბამისად ამომრჩეველთა სიაში შესწორება დაუყოვნებლივ შეაქვს სახალხო დემოკრატიული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

მუხლი 24. ხმის მიცემის უფლების მოწმობა

თუ ამომრჩეველმა შეიცვალა თავისი ადგილსამყოფელი საყოველთაო გაცნობისათვის ამომრჩეველთა სიების წარმოდგენისა და არჩევნების დღეს შორის პერიოდში, საუბნო საარჩევნო კომისია მისი თხოვნით აძლევს ხმის მიცემის უფლების მოწმობას. მოწმობა გაიცემა ამომრჩეველთა სიის საფუძველზე, რომელშიც კეთდება შესაბამისი აღნიშვნა.

ხმის მიცემის უფლების მოწმობის საფუძველზე ამომრჩეველი შეაქვთ ამომრჩეველთა დამატებით სიაში ნებისმიერ საარჩევნო უბანში არჩევნების დღეს მისი ადგილსამყოფელის მიხედვით. ამომრჩეველთა დამატებით სიას ადგენს საუბნო საარჩევნო კომისია და ხელს აწერენ მისი თავმჯდომარე და მდივანი.

საარჩევნო კომისიების შექმნა

მუხლი 25. სახალხო მოსამართლეთა არჩევნების საარჩევნო კომისიები

საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნების ჩასატარებლად იქმნება საარჩევნო კომისიები:

რაიონში, ქალაქში (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების გარდა), ქალაქის რაიონში — რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლეთა არჩევნების რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საარჩევნო კომისია;

საარჩევნო უბანში — საუბნო საარჩევნო კომისია.

მუხლი 26. წარმომადგენლთა დასახელება საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში

საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნების საარჩევნო კომისიები იქმნება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, პროფესიული კავშირების, სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ორგანიზაციების, კოლხერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივებისა და ჯარის ნაწილების სამხედრო მოსამსახურეთა კრებების წარმომადგენლებისაგან.

წარმომადგენლებს რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული და საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში ასახელებენ საზოგადოებრივი ორგანიზაციების რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული ორგანოები, მათი პირველადი ორგანიზაციები, აგრეთვე შრომითი კოლექტივები და ჯარის ნაწილების სამხედრო მოსამსახურეთა კრებები.

საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში შრომითი კოლექტივების წარმომადგენლებს ასახელებენ კოლექტივების საერთო კრებებზე, რომელთაც იწვევენ პროფესიული კავშირების საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტები. დიდ შრომითს კოლექტივებში კრებები შეიძლება ჩატარდეს საამქროების, უბნების, ცვლების, ბრივადების, განყოფილებების მიხედვით.

საარჩევნო კომისიების შემადგენლობა ქვეყნდება საყოველთაო გაცნობისათვის.

მუხლი 27. რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საარჩევნო კომისიების შექმნა

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლეთა არჩევნების რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საარჩევნო კომისია

იქმნება კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნისა და 6—10 წევრის შემადგენლობით.

საარჩევნო კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი არა უგვიანეს მეთორმეტე დღისა არჩევნების დანიშვნის შემდეგ.

რაიონისა და ქალაქისათვის ვრთი რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს შექმნის შემთხვევაში სახალხო მოსამართლეთა არჩევნების რაიონული ან საქალაქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობას ამტკიცებენ შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

მუხლი 28. საუბნო საარჩევნო კომისიების შექმნა

საუბნო საარჩევნო კომისია იქმნება კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნის, 4-16 წევრის შემადგენლობით. იმ საარჩევნო უბნებში კი, სადაც 100-ზე ნაკლები ამომრჩეველია, — თავმჯდომარის, მდივნისა და 1-3 წევრის შემადგენლობით. კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს შესაბამისად სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების გარდა), ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი არა უგვიანეს ოცდამეათე დღისა არჩევნების დანიშვნის შემდეგ.

საჭიროების შემთხვევაში საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს შეუძლიათ გაზარდონ დიდ რკინიგზის სადგურებში, აეროპორტებში, საზღვაო ნავსადგურებში, არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ ვემებზე შექმნილი საარჩევნო უბნების საუბნო საარჩევნო კომისიების რიცხობრივი შემადგენლობა, აგრეთვე მაშინ, როცა უბნის ტერიტორიაზე არის მცირე დასახლებული პუნქტები, გეოლოგიური პარტიები, სამეცნიერო ექსპედიციები.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ან თავმჯდომარის მოადგილე, ანდა მდივანი არჩევნების მომზადებისა და ჩატარების პერიოდში თავისუფლდებიან საწარმოო ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან 30 კალენდარული დღით და უნარჩუნდებათ საშუალო ხელფასი მუდმივ სამუშაო ადგილზე.

მუხლი 29. საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში ცვლილებათა შეტანის წესი

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი ან წევრი კომისიაში თავისი მოვალეობისაგან შეიძლება გაათავისუფლოს კომისიის შემადგენლობის დამამტკიცებელმა ორგანომ პირადი ვანცხადების ან მისი დამსახურებელი საზოგადოებრივი ორგანიზაციის, შრომითი კოლექტივის, ჯარის ნაწილის სამხედრო მოსამსახურეთა კრების წარდგინების საფუძველზე. საარჩევნო კომისიაში ახალი წარმომადგენლის დასახელება და კომისიის შემადგენლობაში მისი დამტკიცება წარმოებს ამ კანონით დადგენილი წესით.

საარჩევნო კომისიების უფლებამოსილება და მუშაობის წესი

მუხლი 30. რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საარჩევნო კომისიის უფლებამოსილება

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლეთა არჩევნების რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საარჩევნო კომისია:

ა) კონტროლს უწევს ამ კანონის შესრულებას რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლეთა არჩევნების მომზადებისა და ჩატარების დროს;

ბ) წარმართავს საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობას;

გ) ისმენს საუბნო საარჩევნო კომისიების, ადგილობრივი სახელმწიფო, აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანოების ინფორმაციებს არჩევნების მომზადებისა და ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

დ) თვალყურს ადევნებს ამომრჩეველთა სიების შედგენასა და საყოველთაო გაცნობისათვის წარდგენას;

ე) კონტროლს უწევს საუბნო საარჩევნო კომისიების შენობებით, ტრანსპორტით, კავშირგაბმულობის საშუალებებით უზრუნველყოფას და განიხილავს არჩევნების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სხვა საკითხებს;

ვ) რეგისტრაციაში ატარებს დასახელებულ სახალხო მოსამართლეობის კანდიდატებს;

ზ) ამტკიცებს თითოეული საარჩევნო ოლქის საარჩევნო ბიულეტენის ტექსტს;

თ) უზრუნველყოფს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დადგენილი ფორმის მიხედვით რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლეთა არჩევნების საარჩევნო ბიულეტენების დამზადებას და ბიულეტენებით ამარაგებს საუბნო საარჩევნო კომისიებს;

ი) ადგენს არჩევნების შედეგებს თითოეული საარჩევნო ოლქის მიხედვით და აჯამებს რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლეთა არჩევნების შედეგებს;

კ) რეგისტრაციაში ატარებს რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოში არჩეულ სახალხო მოსამართლეებს;

ლ) განიხილავს განცხადებებსა და საჩივრებს საუბნო საარჩევნო კომისიების არასწორი მოქმედების შესახებ და მათ გამო გამოაქვს საბოლოო გადაწყვეტილებანი;

მ) განახორციელებს სხვა უფლებამოსილებას ამ კანონის შესაბამისად.

მუხლი 31. საუბნო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილება

საუბნო საარჩევნო კომისია:

ა) აცნობს ამომრჩევლებს ამომრჩეველთა სიას, იღებს განცხადებებს ამომრჩეველთა სიაში უსწორობათა შესახებ და შეაქვს ისინი სიის შემდგენელი სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, ჯარის ნაწილის მეთაურის, გემის კაპიტნის განსახილველად;

ბ) ამომრჩეველთა სიის საფუძველზე ამომრჩევლებს აძლევს ხმის მიცემის უფლების მოწმობას ამ კანონის 24-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

გ) ადგენს ამომრჩეველთა დამატებით სიას იმ პირებისათვის, რომლებიც საარჩევნო უბანში ხმის მიცემის უფლების მოწმობით მივიდნენ;

დ) მოსახლეობას აცნობებს საუბნო საარჩევნო კომისიის ადგილსამყოფელს და მისი მუშაობის დროს, აგრეთვე არჩევნების დღეს და ხმის მიცემის ადგილს;

ე) უზრუნველყოფს ხმის მიცემისათვის შენობის მომზადებასა და საარჩევნო ყუთების დამზადებას;

ვ) ორგანიზაციას უწევს საარჩევნო უბანში ხმის მიცემას არჩევნების დღეს;

ზ) განიხილავს განცხადებებსა და საჩივრებს არჩევნების მომზადებისა და საარჩევნო უბანში ხმის მიცემის ორგანიზაციის საკითხებზე და იღებს მათ გამო გადაწყვეტილებებს;

თ) ითვლის საარჩევნო უბანში თითოეული სახალხო მოსამართლეობის კანდიდატისათვის მიცემულ ხმებს;

ი) ასორციელებს სხვა უფლებამოსილებას ამ კანონის შესაბამისად.

მუხლი 32. საარჩევნო კომისიების მიერ უფლებამოსილების განხორციელების წესი

საარჩევნო კომისიის სხდომებს იწვევს მისი თავმჯდომარე და ეს სხდომები უფლებამოსილია, თუ მათში მონაწილეობს კომისიის შემადგენლობის ნახევარზე მეტი. კომისიის გადაწყვეტილებანი მიიღება ღია კენჭისყრით კომისიის საერთო შემადგენლობის ხმების უბრალო უმრავლესობით. კომისიის წევრებს, რომლებიც არ ეთანხმებიან მის გადაწყვეტილებას, უფლება აქვთ გამოთქვან განსაკუთრებული აზრი; რომელიც წერილობითი ფორმით ერთვას ოქმს.

საარჩევნო კომისიების გადაწყვეტილებანი, რომლებიც მიღებულია მათი უფლებამოსილების ფარგლებში, შესასრულებლად სავალდებულოა ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოს, საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის.

საუბნო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს რაიონულ, საქალაქო, ქალაქის რაიონულ საარჩევნო კომისიაში.

მუხლი 33. საჯაროება საარჩევნო კომისიების მუშაობაში

საარჩევნო კომისიები ინფორმაციას აწვდიან მოსახლეობას თავიანთი სხდომებისა და მიღებული გადაწყვეტილებების, მათ მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. კომისიების სხდომებს შეიძლება დაესწრონ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების წარმომადგენლები, აგრეთვე პრესის, ტელევიზიის, რადიოს წარმომადგენლები.

მუხლი 34. უფლებამოსილების განხორციელებაში საარჩევნო კომისიებისათვის ხელშეწყობა

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოები, საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები, თანამდებობის პირები ვალდებული არიან ხელი შეუწყონ საარჩევნო კომისიებს უფლებამოსილების განხორციელებაში, მიაწოდონ მუშაობისათვის საჭირო ცნობები და მასალები.

საარჩევნო კომისიას უფლება აქვს არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მიმართოს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებს, საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, თანამდებობის პირებს, რომლებიც ვალდებული არიან განიხილონ აღძრული საკითხი და საარჩევნო კომისიას პასუხი გასცენ არა უგვიანეს სამი დღის ვადაში.

თავი VI

სახალხო მოსამართლეობის კანდიდატთა დასახელება

მუხლი 35 სახალხო მოსამართლეობის კანდიდატთა დასახელების წესი

რაიონული (საქალაქო) სახალხო მოსამართლეობის სახალხო მოსამართლეობის კანდიდატებს ასახელებენ საარჩევნო ოლქების მიხედვით. სახალხო მოსამართლეობის კანდიდატთა დასახელება იწყება არჩევნების დანიშვნიდან ოცდამეხუთე დღეს და მთავრდება არჩევნებამდე ოცი დღით ადრე.

სახალხო მოსამართლეობის კანდიდატებს ასახელებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, პროფესიული კავშირების, სრულად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ორგანიზაციები, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები მათი რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული ორგანოების სახით, შრომითი კოლექტივები, აგრეთვე ჯარის ნაწილების სამხედრო მოსამსახურეთა კრებები.

შრომითი კოლექტივებისაგან სახალხო მოსამართლეობის კანდიდატთა დასახელება წარმოებს კოლექტივების საერთო კრებებზე, რომლებსაც იწვევენ პროფესიული კავშირების საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტები. დიდ შრომითს კოლექტივებში კრებები შეიძლება ჩატარდეს სამაქროების, უბნების, ცვლების, ბრიგადების, განყოფილებების მიხედვით.

სახალხო მოსამართლეობის კანდიდატთა დასახელებლად სამხედრო მოსამსახურეთა კრებებს იწვევს ჯარის ნაწილის მეთაურობა. თუ შეუძლებელია ნაწილის სამხედრო მოსამსახურეთა საერთო კრების მოწვევა, კრებები ჩატარდება ქვეგანყოფილებაში.

სახალხო მოსამართლეობის კანდიდატის დასასახელებლად მოწვეულ ბის თითოეულ დამსწრეს უფლება ეძლევა მონაწილეობა მიიღოს კანდიდატურების განხილვაში, მხარი დაუჭიროს დასახელებულ კანდიდატურებს ან შეიტანოს წინადადებანი მათი აცილების შესახებ.

სახალხო მოსამართლეობის კანდიდატის დასახელების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება კრების მონაწილეთა ხმების უმრავლესობით ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის შესაბამისი ორგანოს საერთო შემადგენლობის ხმების უმრავლესობით და დაუყოვნებლივ ეცნობება კანდიდატად დასახელებულ პირს.

სახალხო მოსამართლეობის კანდიდატად დასახელების შესახებ დგება ოქმი, რომელშიც აღინიშნება: კანდიდატის დამსახელებელი ორგანიზაციის სახელწოდება, კრების ან სხდომის ჩატარების ადგილი და დრო, სხდომისა თუ კრების მონაწილე პირთა რიცხვი, კანდიდატის დასახელების სასარგებლოდ მიცემული ხმების რაოდენობა, კანდიდატის გვარი, სახელი, მამის სახელი, მისი ასაკი, საქმიანობა და საცხოვრებელი ადგილი.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები, შრომითი კოლექტივები, კრებები, რომლებმაც სახალხო მოსამართლეობის კანდიდატები დასახელეს, მოსახლეობას აცნობებენ დასახელებული სახალხო მოსამართლეობის კანდიდატების შესახებ პრესის, ტელევიზიის, რადიოს, ინფორმაციის სხვა საშუალებათა მეშვეობით, აგრეთვე მათ შეუძლიათ აირჩიონ სახალხო მოსამართლეობის კანდიდატთა ნდობით აღჭურვილი პირები.

მუხლი 36. დასახელებული სახალხო მოსამართლეობის კანდიდატებისათვის მხარდაჭერის უფლება

საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, შრომითს კოლექტივებს და ჯარის ნაწილების სამხედრო მოსამსახურეთა კრებებს შეუძლიათ მხარი დაუჭიროონ სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების ან ჯარის ნაწილების სამხედრო მოსამსახურეთა კრებების მიერ დასახელებულ კანდიდატურებს, აგრეთვე აირჩიონ სახალხო მოსამართლეობის კანდიდატთა ნდობით აღჭურვილი პირები.

მუხლი 37. სახალხო მოსამართლეობის კანდიდატის დასახელების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება. კანდიდატის მიერ თავისი კანდიდატურის მოხსნა

სახალხო მოსამართლეობის კანდიდატის დამსახელებელ საზოგადოებრივ ორგანიზაციას, შრომითს კოლექტივს, კრებას უფლება აქვთ არჩევნებამდე ნებისმიერ დროს გააუქმონ თავიანთი გადაწყვეტილება სახალხო მოსამართლეობის კანდიდატის დასახელების შესახებ. ამ საკითხზე გადაწყვეტილება მიიღება სახალხო მოსამართლეობის კანდიდატის დასასახელებლად გათვალისწინებული წესით და წარედგინება სახალხო მოსამართლეთა არჩევნების რაიონულ, საქალაქო, ქალაქის რაიონულ საარჩევნო კომისიას.

სახალხო მოსამართლეობის კანდიდატს შეუძლია არჩევნებამდე წინასწარ დროს მოხსნას თავისი კანდიდატურა. კანდიდატს განცხადება თავისი კანდიდატურის მოხსნის შესახებ შეაქვს სახალხო მოსამართლეთა არჩევნების რაიონულ, საქალაქო, ქალაქის რაიონულ საარჩევნო კომისიაში.

სახალხო მოსამართლეობის კანდიდატის დასახელების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების ან კანდიდატის მიერ თავისი კანდიდატურის მოხსნის თაობაზე რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საარჩევნო კომისია აცნობებს საარჩევნო ოლქის მოსახლეობას.

მუხლი 38. სახალხო მოსამართლეობის კანდიდატთა რეგისტრაციის წესი

ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად დასახელებულ სახალხო მოსამართლეობის კანდიდატებს რეგისტრაციაში ატარებს სახალხო მოსამართლეთა არჩევნების რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საარჩევნო კომისია.

სახალხო მოსამართლეობის კანდიდატთა რეგისტრაცია იწყება არჩევნებამდე 25 დღით ადრე და მთავრდება 15 დღით ადრე.

სახალხო მოსამართლეობის კანდიდატთა რეგისტრაცია წარმოებს სახალხო მოსამართლეთა არჩევნების რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საარჩევნო კომისიის სხდომაზე, თუ არის შემდეგი დოკუმენტები: მოცემულ საარჩევნო ოლქში სახალხო მოსამართლეობის კანდიდატის დასახელების შესახებ საზოგადოებრივი ორგანიზაციის შესაბამისი ორგანოს სხდომის, შრომითი კოლექტივის კრების, ჯარის ნაწილის სამხედრო მოსამსახურეთა კრების ოქმი; სახალხო მოსამართლეობის კანდიდატის განცხადება იმის შესახებ, რომ თანახმაა კენჭი იყაროს ამ საარჩევნო ოლქში. რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საარჩევნო კომისია სახალხო მოსამართლეობის თითოეული კანდიდატის რეგისტრაციის შესახებ ადგენს ოქმს.

რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საარჩევნო კომისია ვალდებულია რეგისტრაციაში გაატაროს ყველა სახალხო მოსამართლეობის კანდიდატი, რომლებიც თითოეულ საარჩევნო ოლქში დასახელებული არიან ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად

რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საარჩევნო კომისია არა უგვიანეს მეხუთე დღისა რეგისტრაციის შემდეგ აქვეყნებს ცნობას სახალხო მოსამართლეობის კანდიდატთა რეგისტრაციის თაობაზე და მონაცემებს რეგისტრირებულ კანდიდატთა შესახებ.

სახალხო მოსამართლეობის კანდიდატს შეუძლია კენჭი იყაროს მხოლოდ ერთ რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოში და მხოლოდ ერთ საარჩევნო ოლქში. სახალხო მოსამართლეობის კანდიდატი არ შეიძლება შედიოდეს რაიონულ, საქალაქო, ქალაქის რაიონულ საარჩევნო კომისიაში ან საუბნო საარჩევნო კომისიაში, რომელიც აწყობს კენჭისყრას მოცემულ საარჩევნო ოლქში. სახალხო მოსამართლეობის კანდიდატად დასახელებული პირი, რომელიც შედის ერთ-ერთ აღნიშნულ კომისიაში, თავისუფლდება კომისიაში დაკისრებული მოვალეობისაგან მისი სახალხო მოსამართლეობის კანდიდატად რეგისტრაციის მომენტიდან.

მუხლი 39. გამოკლებულის ნაცვლად ახალი სახალხო მოსამართლეობის კანდიდატის დასახელების წესი

სახალხო მოსამართლეობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ სახალხო მოსამართლეობის კანდიდატის გამოკლების შემთხვევაში, თუ საარჩევნო ოლქში სხვა კანდიდატები არ დარჩნენ, სახალხო მოსამართლეთა არჩევნების რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საარჩევნო კომისია საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, შრომითს კოლექტივებს, ჯარის ნაწილების სამხედრო მოსამსახურეთა კრებებს მიმართავს წინადადებით დაასახელონ ახალი სახალხო მოსამართლეობის კანდიდატი.

თუ არჩევნებამდე დარჩენილ დროში შეუძლებელია ახალი სახალხო მოსამართლეობის კანდიდატის დასახელება, რეგისტრაციაში გატარება და განხილვა, საარჩევნო ოლქში არჩევნები ტარდება საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო მოსამართლეთა არჩევნების ჩატარებიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 40. საარჩევნო ბიულეტენი

თითოეული საარჩევნო ოლქის საარჩევნო ბიულეტენის ტექსტს ამტკიცებს სახალხო მოსამართლეთა არჩევნების რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საარჩევნო კომისია. ბიულეტენში ანბანის მიხედვით შეაქვთ საარჩევნო ოლქში რეგისტრირებული ყველა სახალხო მოსამართლეობის კანდიდატი, ამასთან აღინიშნება თითოეული მათგანის გვარი, სახელი, მამის სახელი, კანდიდატთა დამსახვლებელი საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების, ჯარის ნაწილების სამხედრო მოსამსახურეთა კრებების სახელწოდება.

საარჩევნო ბიულეტენები იბეჭდება მოცემული საარჩევნო ოლქის მოსახლეობის ენაზე. ბიულეტენებს მიაწვდიან საარჩევნო ოლქის ყველა საუბნო საარჩევნო კომისიას არა უგვიანეს ხუთი დღისა არჩევნებამდე.

მუხლი 41. ამომრჩეველთა კრებები სახალხო მოსამართლეობის კანდიდატებთან შესახვედრად

სახალხო მოსამართლეობის კანდიდატების ამომრჩევლებთან შესახვედრად ტარდება კრებები, რომლებსაც საზოგადოებრივი ორგანიზაციები ან სახალხო დემუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები იწვევენ. კრებები ეწყობა შესაბამისი საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის მიხედვით. კრების ჩატარების დრო და ადგილი წინასწარ ეცნობებათ ამომრჩევლებს.

მუხლი 42. წინასაარჩევნო აგიტაცია

საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, შრომითს კოლექტივებს, რომლებმაც სახალხო მოსამართლეობის კანდიდატები დაასახელეს ან მათ მხარდასაქერად გამოვიდნენ, ეძლევათ თავიანთი კანდიდატების სასარგებლოდ შეუფერხებელი აგიტაციის უფლება.

საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და შრომით კოლექტივებს უფასოდ ეთმობათ შენობები კრებების ჩასატარებლად, აგრეთვე მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი წინასაარჩევნო აგიტაციისათვის.

თითოეული მოქალაქისათვის გარანტირებულია წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლება.

აგიტაცია არჩევნების დღეს კენჭისყრის შენობაში არ დაიშვება.

თავი VII

სახალხო მოსამართლეობის კანდიდატის საქმიანობის ძირითადი გარანტიები

მუხლი 43. სახალხო მოსამართლეობის კანდიდატის კრებებზე გამოსვლისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით სარგებლობის უფლება

ყველა სახალხო მოსამართლეობის კანდიდატს რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საარჩევნო კომისიების მიერ მათი რეგისტრაციის დროიდან აქვს თანასწორი უფლება მონაწილეობდეს და გამოდიოდეს წინასაარჩევნო კრებებზე, პრესაში, ტელევიზიით, რადიოთი.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოები, საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები მოვალე არიან ხელი შეუწყონ სახალხო მოსამართლეობის კანდიდატს ამომრჩევლებთან შეხვედრების მოწყობაში, წინასაარჩევნო კრებების ჩატარებაში, საჭირო საცნობარო და საინფორმაციო მასალების მიღებაში.

მუხლი 44. სახალხო მოსამართლეობის კანდიდატის განთავისუფლება საწარმოო ან სამსახურებრივი მოვალეობისაგან წინასაარჩევნო ღონისძიებებში მონაწილეობისათვის

სახალხო მოსამართლეობის კანდიდატი ამომრჩევლებთან შეხვედრების ჩატარების, წინასაარჩევნო კრებებზე, ტელევიზიითა და რადიოთი გამოსვლის დროის განმავლობაში თავისუფლდება საწარმოო ან სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებისაგან, ამასთან უნარჩუნდება საშუალო ხელფასი მუდმივ სამუშაო ადგილზე.

თავი VIII

ხმის მიცემისა და არჩევნების შედეგების შეჯამების წესი

მუხლი 45. ხმის მიცემის დრო და ადგილი

ხმის მიცემა ტარდება არჩევნების დღეს დილის 6 საათიდან საღამოს 10 საათამდე ადგილობრივი დროით. ხმის მიცემის დროსა და ადგილს საუბნო საარჩევნო კომისია ყველა ამომრჩეველს აცნობებს არა უგვიანეს 10 დღისა არჩევნებამდე.

არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე, ჯარის ნაწილებში შექმნილ საარჩევნო უბნებში, აგრეთვე შესაბამისი სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული, საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების ნებართვით, მთის რაიონებში განლაგებულ საარჩევნო უბნებში, სადაც მიმოსვლის პირობების გამო არჩევნების დღეს ვერ ჩავლენ კენჭისყრის უფლების მოწმობის მქონე ამომრჩევლები, ხმის მიცემა შეიძლება დამთავრდეს საღამოს 10 საათზე ადრეც, თუ ხმა მისცა სიებში შეტანილმა ყველა ამომრჩეველმა.

მუხლი 46. ხმის მიცემის ჩატარება

ყოველ საარჩევნო უბანში ხმის მიცემა ტარდება სპეციალურად გამოყოფილ შენობაში, სადაც მოწყობილი უნდა იყოს კაბინები ან ოთახები ფარული კენჭისყრისათვის, განსაზღვრული უნდა იყოს საარჩევნო ბიულეტენების გაცემის ადგილი და დადგმული — საარჩევნო ყუთები. ხმის მიცემის ორგანიზაციისა და შენობაში წესრიგის უზრუნველყოფისათვის პასუხს აგებს საუბნო საარჩევნო კომისია.

ხმის მიცემის დაწყებამდე საარჩევნო ყუთებს ამოწმებს და პლომბავს ან ლუქავს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კომისიის ყველა წევრის თანდასწრებით, ამას შეიძლება დაესწრონ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების, პრესის, ტელევიზიის, რადიოს წარმომადგენლები.

ყოველი ამომრჩეველი პირადად აძლევს ხმას. საუბნო საარჩევნო კომისია ამომრჩევლებს საარჩევნო ბიულეტენებს აძლევს ამომრჩეველთა სიის საფუძველზე პასპორტის ან პირადობის სხვა მოწმობის წარდგენისას, საარჩევნო ბიულეტენების გაცემის შესახებ ამომრჩეველთა სიაში აკეთებენ აღნიშვნას.

საუბნო საარჩევნო კომისიას შეუძლია გამოწვევის სახით ცალკეული ამომრჩევლებისათვის, რომელთაც ჯანმრთელობის მდგომარეობის ან მიმოსვლის პირობების გამო არ შეუძლიათ პირადად მისვლა ხმის მიცემის შენობაში. მათი თხოვნით, დაავალოს კომისიის ერთ ან რამდენიმე წევრს მოაწყონ კენჭისყრა ამ ამომრჩეველთა ყოფნის ადგილას. დიდ რკინიგზის სადგურებში შექმნილი საარჩევნო უბნების საუბნო საარჩევნო კომისიები უზრუნველყოფენ როგორც სადგურებში, ისე შორეული მიმოსვლის სამგზავრო მატარებლებში მყოფ ამომრჩეველთა ხმის მიცემას.

მუხლი 47. საარჩევნო ბიულეტენების შევსების წესი

ამომრჩეველი საარჩევნო ბიულეტენს ავსებს ფარული კენჭისყრის კაბინაში ან ოთახში. ბიულეტენის შევსებისას აკრძალულია ხმის მიმცემის გარდა სხვა პირის ყოფნა. ამომრჩეველს, რომელსაც არა აქვს შესაძლებლობა დამოუკიდებლად შეავსოს ბიულეტენი, უფლება აქვს კაბინაში ან ოთახში მიიწვიოს სხვა პირი თავისი შეხედულებისამებრ, საარჩევნო კომისიის წევრის გარდა.

ამომრჩეველი ბიულეტენის შევსებისას მასში ტოვებს იმ კანდიდატს, ვე ვეარს, ვისაც ხმას აძლევს, და შლის დანარჩენთა გვარებს. ამომრჩეველი ხმას აძლევს საარჩევნო ყუთში ბიულეტენის წაშვების გზით.

მუხლი 48. ხმების დათვლა საარჩევნო უბანში

საარჩევნო უბანში ხმებს ითვლის საუბნო საარჩევნო კომისია.

საარჩევნო ყუთებს ხსნის საუბნო საარჩევნო კომისია მას შემდეგ, რაც კომისიის თავმჯდომარე გამოაცხადებს, რომ ხმის მიცემა დამთავრებულია, საარჩევნო ყუთების გახსნა ხმის მიცემის დამთავრებამდე აკრძალულია. საარჩევნო ყუთების გახსნამდე საუბნო საარჩევნო კომისიამ უნდა გააუქმოს ყველა ბიულეტენი, რომლებიც არ მიუციათ ამომრჩეველთათვის.

საუბნო საარჩევნო კომისია ამომრჩეველთა ძირითადი და დამატებითი სიების მიხედვით ადგენს ამომრჩეველთა საერთო რიცხვს უბანში, აგრეთვე იმ ამომრჩეველთა რაოდენობას, რომლებმაც ბიულეტენები მიიღეს. საარჩევნო ყუთებში არსებული ბიულეტენების საფუძველზე საუბნო საარჩევნო კომისია ადგენს ხმის მიცემის მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რიცხვს, თითოეული სახალხო მოსამართლეობის კანდიდატის სასარგებლოდ და წინააღმდეგ მიცემული ხმების რაოდენობას, აგრეთვე ბათილად ცნობილი ბიულეტენების რაოდენობას.

ბათილად ცნობენ დაუწესებელი ნიმუშის ბიულეტენებს, აგრეთვე ბიულეტენებს, რომლებშიც კენჭისყრის დროს ერთზე მეტი კანდიდატია დატოვებული. საარჩევნო ბიულეტენის ნამდვილობაზე ეჭვის შეტანის შემთხვევაში საკითხს წყვეტს საუბნო საარჩევნო კომისია კენჭისყრის გზით.

ხმების დათვლაზე დასწრების უფლება აქვთ საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების, აგრეთვე პრესის, ტელევიზიის, რადიოს წარმომადგენლებს.

მუხლი 49. საუბნო საარჩევნო კომისიის ოქმი

ხმების დათვლის შედეგები განიხილება საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომაზე და შეიტანება ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი და წევრები, და დაუყოვნებლივ ეგზავნება სახალხო მოსამართლეთა არჩევნების რაიონულ, საქალაქო, ქალაქის რაიონულ საარჩევნო კომისიას. ოქმს თან ერთვის კომისიის წევრთა განსაკუთრებული აზრი, კომისიაში შემოსული განცხადებები და საჩივრები კენჭისყრის ან ხმების დათვლის დროს დაშვებული დარღვევების შესახებ, აქტი, რომელიც დგება საარჩევნო ყუთზე პლომბის ან ლუქის დაზიანების შემთხვევაში.

მუხლი 50. ოლქში არჩევნების შედეგების დადგენა

თითოეულ საარჩევნო ოლქში არჩევნების შედეგებს ადგენს სახალხო მოსამართლეთა არჩევნების რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საარჩევნო კომისია.

საუბნო საარჩევნო კომისიათა ოქმების საფუძველზე რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საარჩევნო კომისია ადგენს: ოლქის ამომრჩეველთა საერთო რიცხვს; საარჩევნო ბიულეტენების მიმღებ ამომრჩეველთა რაოდენობას; ხმის მიცემის მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობას; თითოეული სახალხო მოსამართლეობის კანდიდატის სასარგებლოდ და წინააღმდეგ მიცემული ხმების რაოდენობას; ბათილად ცნობილი ბიულეტენების რაოდენობას.

არჩეულად ჩაითვლება სახალხო მოსამართლეობის კანდიდატი, რომელიც არჩევნებში მიიღებს ოლქის ყველა ამომრჩევლის ხმების ნახევარზე მეტს.

რაიონულ, საქალაქო, ქალაქის რაიონულ საარჩევნო კომისიას შეუძლია არჩევნები ბათილად ცნოს არჩევნების ან ხმების დათვლის დროს დაშვებული ამ კანონის დარღვევების გამო.

რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საარჩევნო კომისია არჩევნებს ჩატარებულად არ თვლის, თუ მათში ძონაწილეობდა ამომრჩეველთა სიებში შეტანილი ამომრჩევლების ნახევარზე ნაკლები, აგრეთვე სახალხო მოსამართლეობის კანდიდატის გარდაცვალების შემთხვევაში, თუ ოლქში რეგისტრირებული იყო ერთი კანდიდატი.

ხმების დათვლასა და არჩევნების შედეგების დადგენაზე დასწრების უფლება აქვთ საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების, აგრეთვე პრესის, ტელევიზიის, რადიოს წარმომადგენლებს.

მუხლი 51. რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საარჩევნო კომისიის ოქმი

თითოეულ საარჩევნო ოლქში არჩევნების შედეგებს ადგენენ სახალხო მოსამართლეთა არჩევნების რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საარჩევნო კომისიის სხდომაზე და შეაქვთ ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი და წევრები. ოქმს თან ერთვის კომისიის წევრთა განსაკუთრებული აზრი, თუ ასეთი არსებობს, კომისიაში შემოსული განცხადებები და საჩივრები კენჭისყრის, ხმების დათვლის ან არჩევნების შედეგების დადგენის დროს დაშვებული დარღვევების შესახებ.

მუხლი 52. სახალხო მოსამართლეთა რეგისტრაცია. არჩევნების შედეგების გამოკვეყნება

სახალხო მოსამართლეთა არჩევნების რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საარჩევნო კომისია არჩევნების შედეგების დადგენის შემდეგ რეგისტრაციაში ატარებს თითოეულ საარჩევნო ოლქში არჩეულ სახალხო მოსამართლეს.

რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საარჩევნო კომისია უარს ამბობს სახალხო მოსამართლის რეგისტრაციაზე იმ შემთხვევაში, როცა არჩევნები ბათილად არის ცნობილი.

ცნობას რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლეთა არჩევნების შედეგების შესახებ და არჩეულ სახალხო მოსამართ-

ლეთა სიას რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საარჩევნო კომისიის ვეცნებს არა უგვიანეს მეშვიდე დღისა არჩევნების შემდეგ. არჩეულ სახალხო მოსამართლეთა სიას გადასცემენ შესაბამისად სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, რომელიც მას უგზავნის საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ ან აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილებას.

თავი IX

ხელახალი არჩევნები. გამოკლებულთა ნაცვლად ახალ სახალხო მოსამართლეთა არჩევნები. არჩევნები ახლად შექმნილ რაიონში, ქალაქში, ქალაქის რაიონში

მუხლი 58. ხელახალი არჩევნები

თუ სახალხო მოსამართლეობის კანდიდატთაგან, რომლებმაც კენჭი იყარეს საარჩევნო ოლქში, არც ერთი არ იქნა არჩეული, ანდა თუ საარჩევნო ოლქში არჩევნები ჩატარებულად არ ჩაითვალა ან ბათილად იქნა ცნობილი, სახალხო მოსამართლეთა არჩევნების რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საარჩევნო კომისია წყვეტს საკითხს ხელახალი არჩევნების ჩატარების შესახებ. ამასთან იგი სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს მიმართავს წინადადებით დაამტკიცოს მოცემული საარჩევნო ოლქის საუბნო საარჩევნო კომისიების ახალი შემადგენლობა.

ხელახალი არჩევნები ტარდება ერთი თვის ვადაში ამ კანონის მოთხოვნების შესაბამისად. ხმის მიცემა წარმოებს იმავე საარჩევნო უბნებში და რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნების ჩასატარებლად შედგენილი ამომრჩეველთა სიებით.

საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობის დამტკიცება, სახალხო მოსამართლეობის კანდიდატთა რეგისტრაცია და სხვა ღონისძიებანი ეწყობა ამ კანონის 52-ე მუხლით დადგენილ ვადებში.

მუხლი 54. გამოკლებულთა ნაცვლად ახალ სახალხო მოსამართლეთა არჩევნების ჩატარება

უფლებამოსილების ვადის გასვლამდე სახალხო მოსამართლის გამოკლების შემთხვევაში შესაბამის საარჩევნო ოლქში თვე-ნახევრის ვადაში ჩატარდება ახალი არჩევნები. არჩევნებს შესაბამისად ნიშნავენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი არა უგვიანეს ერთი თვისა არჩევნების ჩატარებამდე და იგი ეწყობა ამ კანონის შესაბამისად, ამას-

თან რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საარჩევნო კომისია რქმნება მესამე დღეს, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიები — არჩევნების დანიშვნის მეხუთე დღეს. სახალხო მოსამართლეობის კანდიდატთა რეგისტრაცია მთავრდება არჩევნებამდე 10 დღით ადრე.

რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით ხმის მიცემა შეიძლება დამთავრდეს საღამოს 10 საათზე ადრეც, თუ ხმა მისცა ამომრჩეველთა სიებში შეტანილმა ყველა ამომრჩეველმა.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ან თავმჯდომარის მოადგილე ან მდივანი თავისუფლდებიან საწარმოო თუ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან არჩევნების მომზადებისა და ჩატარების პერიოდში 20 კალენდარული დღით და უნარჩუნდებათ საშუალო ხელფასი მუდმივ სამუშაო ადგილზე.

თუ სახალხო მოსამართლე გამოაკლდა იმ პერიოდში, როდესაც მისი უფლებამოსილების ვადის გავლამდე ოთხ თვეზე ნაკლებია დარჩენილი, გამოკლებულის ნაცვლად ახალი სახალხო მოსამართლის არჩევნები არ ჩატარდება.

მუხლი 55. სახალხო მოსამართლეთა არჩევნების ჩატარება ახლად შექმნილ რაიონში, ქალაქში, ქალაქის რაიონში. დამატებითი არჩევნები

ახლად შექმნილ რაიონში, ქალაქში, ქალაქის რაიონში სახალხო მოსამართლეთა არჩევნები ჩატარდება იმ შემთხვევებში, როდესაც რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს შექმნა შეუძლებელია ახლად შექმნილი რაიონის, ქალაქის, ქალაქის რაიონის შემადგენლობაში შემავალ ტერიტორიაზე არჩეულ სახალხო მოსამართლეთა არყოფნის გამო.

სახალხო მოსამართლეთა დამატებითი არჩევნები ჩატარდება იმ შემთხვევებში, როდესაც რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს შესაქმნელად არასაკმარისია ახლად შექმნილი რაიონის, ქალაქის, ქალაქის რაიონის შემადგენლობაში შემავალ ტერიტორიაზე არჩეულ სახალხო მოსამართლეთა რაოდენობა, აგრეთვე როდესაც რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოში გაზრდილია სახალხო მოსამართლეთა რაოდენობა.

ახლად შექმნილ რაიონში, ქალაქში, ქალაქის რაიონში სახალხო მოსამართლეთა არჩევნებს და სახალხო მოსამართლეთა დამატებით არჩევნებს ნიშნავენ შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი არა უგვიანეს ერთი თვისა რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს შექმნის, ან რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოში სახალხო მოსამართლეთა რაოდენობის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან და არჩევნები ტარდება ამ კანონის შესაბამისად.



იმ შემთხვევაში, როდესაც ახლად შექმნილ რაიონში, ქალაქში, ქალაქის რაიონში ჯერ კიდევ არ არის არჩეული სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, საარჩევნო ოლქებს ქმნიან, საარჩევნო კომისიების შემადგენლობას ამტკიცებენ შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები, არჩევნების დამნიშნავი შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

სახალხო მოსამართლეთა დამატებითი არჩევნები ტარდება საარჩევნო ოლქებში, რომლებიც შექმნილია სახალხო მოსამართლეთა არჩევნების არსებული საარჩევნო ოლქების საზღვრების ცვლილებათა ხარჯზე.

საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობის დამტკიცება, სახალხო მოსამართლეობის კანდიდატთა რეგისტრაცია და სხვა ღონისძიებანი ეწყობა ამ კანონის 54-ე მუხლით დადგენილ ვადებში.

პ ა რ ი III

სახალხო მსაჯულთა არჩევნების ჩატარების წესი

თ ა მ ი X

სახალხო მსაჯულთა არჩევნების ორგანიზაცია

მუხლი 56. არჩევნების დანიშვნის წესი

საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნებს ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სახალხო მსაჯულთა არჩევნების დანიშვნის შესახებ პრესაში ქვეყნდება არა უგვიანეს 30 დღისა მათი უფლებამოსილების ვადის გასვლამდე.

სახალხო მსაჯულთა არჩევნების დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების საფუძველზე აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი დაადგენენ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნების ჩატარების ვადას შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის, ქალაქის, ავტონომიური ოლქის მიხედვით, რესპუბლიკური დაქვემდებარების რაიონებისა და ქალაქების რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნების ჩატარების ვადას დაადგენს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

მუხლი 57. არჩევნების ორგანიზაცია

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნებს აწყობენ სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

ჯარის ნაწილებში რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნებს აწყობს ჯარის ნაწილების მეთაურობა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან შეთანხმებით.

სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი:

ა) კონტროლს უწევს ამ კანონის შესრულებას რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს სახალხო მსაჯულთა არჩევნების მომზადებისა და ჩატარების დროს;

ბ) განიხილავს განცხადებებსა და საჩივრებს რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს სახალხო მსაჯულთა არჩევნების არასწორად ჩატარების შესახებ;

გ) განსაზღვრავს რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს სახალხო მსაჯულთა არჩევნების შედეგებს რაიონის, ქალაქის, ქალაქის რაიონის მიხედვით, ადგენს და ამტკიცებს არჩეულ სახალხო მსაჯულთა სიას;

დ) აძლევს არჩეულ სახალხო მსაჯულებს სახალხო მსაჯულის მოწმობას;

ე) აქვეყნებს ცნობას რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს სახალხო მსაჯულთა არჩევნების შედეგების შესახებ;

ვ) განახორციელებს სხვა უფლებამოსილებას ამ კანონის შესაბამისად.

მუხლი 58. არჩევნების ჩატარების წესი

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნები ტარდება მოქალაქეთა კრებებზე მათი სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურეთა კრებებზე — ჯარის ნაწილებში.

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა ასარჩევად კრებებს იწვევენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, პროფესიული კავშირების, სრულიად საქავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ორგანიზაციები, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

სამხედრო მოსამსახურეთა კრებებს იწვევს ჯარის ნაწილის მეთაურობა. თუ შეუძლებელია ნაწილის სამხედრო მოსამსახურეთა საერთო კრების მოწვევა, კრება ტარდება ქვეგანყოფილებაში.

მოქალაქეთა კრებას მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით იწვევს სახალხო დეპუტატთა საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

კრებები ტარდება შრომით კოლექტივებში, ჯარის ნაწილებსა და დასახლებულ პუნქტებში, სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა 100 კაცზე ნაკლები

არ არის. თუ ამომრჩეველთა რიცხვი მათში 100 კაცზე ნაკლებია, არჩევნები ტარდება სხვა შრომით კოლექტივებთან, ჯარის ნაწილებთან და სხვა დასახლებულ პუნქტებში მცხოვრებ ამომრჩეველებთან ერთად.

დიდ შრომით კოლექტივებში კრებები შეიძლება ჩატარდეს საამქროების, უბნების, ცვლების, ბრიგადების, განყოფილებების მიხედვით.

სახალხო მსაჯულთა ასარჩევი კრების დროისა და ადგილის შესახებ მოქალაქეებს აცნობებენ არა უგვიანეს სამი დღისა კრებამდე.

კრება ჩაითვლება უფლებამოსილად, თუ მასში მონაწილეობს მოცემული შრომითი კოლექტივის ამომრჩეველთა, ჯარის ნაწილის სამხედრო მოსამსახურეთა უმრავლესობა ან ამომრჩეველთა უმრავლესობა მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულობის კანდიდატებს ასახელებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, პროფესიული კავშირების, სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ორგანიზაციები, კოოპერატიული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, შრომითი კოლექტივები, აგრეთვე ჯარის ნაწილების სამხედრო მოსამსახურეთა კრებები.

თითოეულ კრების დამსწრეს უფლება ეძლევა მონაწილეობა მიიღოს დასახელებული კანდიდატურების გახხილვაში, მხარი დაუჭიროს წამოყენებულ კანდიდატურებს, ან შეიტანოს წინადადებანი მათი აცილების შესახებ.

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნები ტარდება ღია კენჭისყრით თითოეულ კანდიდატურაზე ცალ-ცალკე.

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს არჩეულ სახალხო მსაჯულებად ჩაითვლებიან ის პირები, რომლებმაც მიიღეს მოცემული შრომითი კოლექტივის ამომრჩეველთა, ჯარის ნაწილის სამხედრო მოსამსახურეთა ხმების ნახევარზე მეტი ანდა ამომრჩეველთა ხმების უმრავლესობა მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

კრებაზე აირჩევა პრეზიდიუმი და დგება ოქმი.

მუხლი 59. სახალხო მსაჯულთა საარჩევნო კრების ოქმი

ხმის მიცემის შედეგები შეიტანება კრების ოქმში, რომელსაც ხელს აწერს კრების პრეზიდიუმის მთელი შემადგენლობა.

კრების ოქმში აღნიშნული უნდა იყოს: ორგანიზაციის ან დასახლებული პუნქტის სახელწოდება, სადაც შედგა კრება; კრების ჩატარების ადგილი და დრო; ამომრჩეველთა საერთო რიცხვი მოცემულ კოლექტივში, დასახლებულ პუნქტში; კრების მონაწილე ამომრჩეველთა რიცხვი; თითოეული სახალხო მსაჯულობის კანდიდატის გვარი, სახელი და მამის სახელი; თითოეული სახალხო მსაჯულობის კანდიდატის სასარგებლოდ და წინააღმდეგ მიცემული ხმების რაოდენობა; თითოეული არჩეული სახალხო მსაჯულის გვარი, სახელი, მამის სახელი, ასაკი, საქმიანობა, საცხოვრებელი ადგილი, აგრეთვე არჩეული იყო თუ არა იგი ადრე სახალხო მსაჯულად.

კრების ოქმი ხელმოწერის შემდეგ დაუყოვნებლივ გადაეგზავნება სსახლ-
 ხო დეპუტატთა შესაბამისი რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს
 აღმასრულებელ კომიტეტს.

მუხლი 60. სახალხო მსაჯულთა არჩევნების შედეგების დადგენა

სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს
 აღმასრულებელი კომიტეტი კრების ოქმების საფუძველზე ადგენს სახალხო
 მსაჯულთა არჩევნების შედეგებს და შეადგენს მოცემული რაიონული (საქ-
 ლაქო) სახალხო სასამართლოს სახალხო მსაჯულთა სიას.

რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კო-
 მიტეტს შეუძლია არჩევნები ბათილად ცნოს არჩევნების დროს დაშვებული
 ამ კანონის დარღვევების გამო.

რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კო-
 მიტეტი არჩევნებს ჩატარებულად არ ჩათვლის, თუ მასში მონაწილეობდა
 მოცემული შრომითი კოლექტივის ამომრჩეველთა ან დასახლებულ პუნქტში
 მცხოვრებთა ნახევარზე ნაკლები.

სახალხო მსაჯულთა სიას ამტკიცებს რაიონული, საქალაქო, ქალაქის რა-
 იონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი და გადაუგზავნის რაიონულ
 (საქალაქო) სახალხო სასამართლოს.

თავი XI

ხელახალი არჩევნები. გამოკლებულთა ნაცვლად ახალ სახალხო მსაჯულთა არჩევნები. არჩევნები ახლად შექმნილ რაიონში, ქალაქ- ში, ქალაქის რაიონში

მუხლი 61. ხელახალი არჩევნები. გამოკლებულთა ნაცვლად ახალ სახალ- ხო მსაჯულთა არჩევნები

თუ სახალხო მსაჯულის არჩევნები ბათილად იქნა ცნობილი ან ჩატარე-
 ბულად არ ჩაითვალა, სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის
 რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი აწყობს ხელახალ არჩევნებს.

იმ შემთხვევაში, თუ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს სა-
 ხალხო მსაჯული გამოაკლდა მისი უფლებამოსილების ვადის გასვლამდე, შეი-
 ძლება ჩატარდეს ახალი არჩევნები.

ხელახალი არჩევნები და გამოკლებულ სახალხო მსაჯულთა ნაცვლად არ-
 ჩევნები ტარდება ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით.

მუხლი 62. სახალხო მსაჯულთა არჩევნები ახლად შექმნილ რაიონში, ქალაქში, ქალაქის რაიონში და დამატებითი არჩევნები

ახლად შექმნილ რაიონში, ქალაქში, ქალაქის რაიონში სახალხო მსაჯულ-
 თა არჩევნები ჩატარდება იმ შემთხვევებში, როდესაც რაიონული (საქალაქო)
 სახალხო სასამართლოს შექმნა შეუძლებელია ახლად შექმნილი რაიონის, ქა-

ლაქის, ქალაქის რაიონის შემადგენლობაში შემავალ ტერიტორიაზე არჩეულ სახალხო მსაჯულთა არყოფნის გამო.

სახალხო მსაჯულთა დამატებითი არჩევნები ჩატარდება იმ შემთხვევებში, როდესაც რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს შესაქმნელად არასაკმარისია ახლად შექმნილი რაიონის, ქალაქის, ქალაქის რაიონის შემადგენლობაში შემავალ ტერიტორიაზე არჩეულ სახალხო მსაჯულთა რაოდენობა, აგრეთვე, როდესაც საჭიროა შესაბამისი სახალხო სასამართლოს სახალხო მსაჯულთა რაოდენობის გაზრდა.

ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში სახალხო მსაჯულთა არჩევნებს ნიშნავენ შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი არა უგვიანეს ერთი თვისა რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს შექმნის ახ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოში სახალხო მსაჯულთა რაოდენობის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან და არჩევნები ტარდება ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით.

პ ა რ ი V

სახალხო მოსამართლედ არჩევის მოწმობა. სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის მოწმობები. საარჩევნო დოკუმენტების ფორმები და მათი შენახვის წესი, საარჩევნო უბნის ნიშაში

მუხლი 63. სახალხო მოსამართლედ არჩევის მოწმობა. სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის მოწმობები

რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საარჩევნო კომისია სახალხო მოსამართლეთა არჩევნების შედეგების შესახებ ცნობის გამოქვეყნების შემდეგ თითოეულ არჩეულ სახალხო მოსამართლეს აძლევს მოსამართლედ არჩევის მოწმობას.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილება თითოეულ არჩეულ სახალხო მოსამართლეს აძლევს შესაბამისი რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლის მოწმობას.

რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს სახალხო მსაჯულთა სიის დამტკიცების შემდეგ თითოეულ არჩეულ სახალხო მსაჯულს აძლევს შესაბამისი რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს სახალხო მსაჯულის მოწმობას.

მუხლი 64. საარჩევნო დოკუმენტების ფორმები და საარჩევნო ყუთის ნიმუში

ამომრჩეველთა სიის, ხმის მიცემის უფლების მოწმობის, საარჩევნო კომისიების ოქმების ფორმებს, საარჩევნო ბიულეტენის ფორმასა და ფერს, საარჩევნო ყუთის ნიმუშს, რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლედ არჩევის მოწმობის ფორმას, აგრეთვე რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს სახალხო მსაჯულთა სიისა და სახალხო მსაჯულის მოწმობის ფორმებს აწესებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

მუხლი 65. საარჩევნო დოკუმენტების შენახვის წესი

საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნების საარჩევნო კომისიების საქმისწარმოებას საარჩევნო კომისიები თავიანთი მუშაობის დამთავრების შემდეგ გადასცემენ სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა არჩევნების საარჩევნო დოკუმენტების შენახვის წესს ადგენს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1981 წლის 25 ნოემბერი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

294 საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევის წესის შესახებ

პ არ ი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლენი და სახალხო მსაჯულნი შეიძლება გაწვეულ იქნენ ამომრჩეველთა მიერ, თუ ვერ გაამართლეს მათი ნდობა ან ჩაიდინეს სახალხო მოსამართლის ან სახალხო მსაჯულის მაღალი წოდებისათვის შეუფერებელი მოქმედება.

მუხლი 2. სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის გაწვევის საკითხის აღძვრის უფლება აქვთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, პროფესიული კავშირების, სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ორგანიზაციებს, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მათი რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული ორგანოების სახით, შრომითს კოლექტივებს, ჯარის ნაწილების სამხედრო მოსამსახურეთა კრებებს, ხოლო სახალხო მსაჯულის მიმართ — ასევე ამომრჩეველთა კრებებს მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მუხლი 3. საზოგადოებრივი ორგანიზაციები, შრომითი კოლექტივები, კრებები, რომლებიც აღძრავენ სახალხო მოსამართლის ან სახალხო მსაჯულის გაწვევის საკითხს, აღნიშნულის შესახებ ატყობინებენ მას გაწვევის საკითხის დაყენების მოტივების აღნიშვნით.

სახალხო მოსამართლესა და სახალხო მსაჯულს უფლება აქვთ წარუდგინონ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, შრომითს კოლექტივებსა და კრებებს, რომლებიც გაწვევის საკითხს აღძრავენ, ახსნა-განმარტება ზეპირი ან წერილობითი ფორმით იმ გარემოებათა გამო, რომლებიც საფუძვლად დაედო ამ საკითხის დაყენებას.

მუხლი 4. საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივებისა და კრებების გადაწყვეტილებანი, რომელთაც აღძრეს სახალხო მოსამართლის ან სახალხო მსაჯულის გაწვევის საკითხი, იგზავნება სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში.

სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი განიხილავს წარდგენილ მასალებს და თუ სახალხო მოსამართლის ან სახალხო მსაჯულის გაწვევის საკითხი აღძრულია ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით, ნიშნავს კენჭისყრას სახალხო მოსამართლის ან სახალხო მსაჯულის გაწვევის შესახებ.

მუხლი 5. სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ სახალხო მოსამართლის ან სახალხო მსაჯულის გაწვევის შესახებ კენჭისყრის დანიშვნის შემდეგ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის, კოლექტივებისათვის, ისევე როგორც საქართველოს სსრ თითოეული მოქალაქისათვის უზრუნველყოფილია დაუბრალოებელი აგიტაციის უფლება სახალხო მოსამართლის ან სახალხო მსაჯულის გაწვევის სასარგებლოდ, ანდა წინააღმდეგ.

პარი II

სახალხო მოსამართლის გაწვევის წესი

მუხლი 6. რაიონული (საქალაქო) სახალხო მოსამართლის სახალხო მოსამართლე შეიძლება გაწვეულ იქნეს შესაბამისი საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა გადაწყვეტილებით.

მუხლი 7. სახალხო მოსამართლის გაწვევის შესახებ კენჭისყრის დროს ამ კანონის შესრულებაზე მეთვალყურეობისა და ოლქში კენჭისყრის შედეგების დადგენისათვის იქმნება რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული კომისია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, პროფესიული კავშირების, სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ორგანიზაციების, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების შრომითი კოლექტივებისა და ჯარის ნაწილების სამხედრო მოსამსახურეთა კრებების წარმომადგენლებისაგან.

სახალხო მოსამართლის გაწვევის შესახებ კენჭისყრის მომწყობი რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული კომისია იქმნება კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნისა და კომისიის 6-10 წევრის შემადგენლობით, კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

მუხლი 8. სახალხო მოსამართლის გაწვევის საკითხი განიხილება და წყდება შესაბამისი საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა კრებებზე, რომლებიც ტარდება საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, ჯარის ნაწილებში და ამომრჩეველთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ამომრჩეველთა კრებებს იწვევენ: შრომით კოლექტივებში — ამ კანონის მე-2 მუხლში აღნიშნული საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ჯარის ნაწილებში — ნაწილთა მეთაურობა, ამომრჩეველთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით — სახალხო დეპუტატთა საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

კრება უფლებამოსილად ითვლება, თუ მასში მონაწილეობს მოცემულ შრომით კოლექტივში მომუშავე, ჯარის ნაწილში მყოფ ამომრჩეველთა უმრავლესობა, ანდა ამომრჩეველთა უმრავლესობა მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

გადაწყვეტილება სახალხო მოსამართლის გაწვევის საკითხზე მიიღება ღია კენჭისყრით.

კრებაზე აირჩევა პრეზიდიუმი და ღებბა ოქმი.

მუხლი 9. ამომრჩეველთა კრების ოქმში უნდა აღინიშნოს: ორგანიზაციის ან დასახლებული პუნქტის სახელწოდება, სადაც შედგა კრება; კრების ჩატარების ადგილი და დრო; ამომრჩეველთა საერთო რიცხვი მოცემულ კოლექტივში, დასახლებულ პუნქტში; კრების მონაწილე ამომრჩეველთა რიცხვი; გასაწვევი სახალხო მოსამართლის გვარი, სახელი, მამის სახელი; სახალხო მოსამართლის გაწვევის სასარგებლოდ და წინააღმდეგ მიცემული ხმების რაოდენობა.

ამომრჩეველთა კრების ოქმს ხელს აწერს კრების პრეზიდიუმის ყველა წევრი და იგი დაუყოვნებლივ წარედგინება სახალხო მოსამართლის გაწვევის შესახებ კენჭისყრის მომწყობ რაიონულ, საქალაქო, ქალაქის რაიონულ კომისიას.

მუხლი 10. ამომრჩეველთა კრების ოქმების საფუძველზე მოსამართლის გაწვევის შესახებ კენჭისყრის მომწყობი რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული კომისია დაითვლის ოლქში სახალხო მოსამართლის გაწვევის სასარგებლოდ და წინააღმდეგ მიცემულ ხმებს, დაადგენს გაწვევის შესახებ კენჭისყრის შედეგებს და ამის თაობაზე აცნობებს სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, რომელიც სახალხო მოსამართლის გაწვევის შესახებ ატყობინებს შესაბამისად საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილებას.

მუხლი 11. სახალხო მოსამართლე გაწვეულად ჩაითვლება, თუ გაწვევას ხმა მისცა მოცემული საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა ნახევარზე მეტმა.

მუხლი 12. სახალხო მოსამართლის გაწვევის შესახებ კენჭისყრის შედეგებს არა უგვიანეს ხუთი დღისა მათი დადგენის შემდეგ გამოაქვეყნებს სახალხო მოსამართლის გაწვევის შესახებ კენჭისყრის მომწყობი რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული კომისია.

მუხლი 13. სახალხო მოსამართლის გაწვევის შესახებ კენჭისყრის ჩატარების დროს ამ კანონის დარღვევის გამო საჩივრებს განიხილავს სახალხო მოსამართლის გაწვევის შესახებ კენჭისყრის მომწყობი რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული კომისია.

სახალხო მოსამართლის გაწვევის შესახებ კენჭისყრის მომწყობი რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული კომისიის არასწორი მოქმედების გამო საჩივრებს განიხილავს სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

პარტი III

სახალხო მსჯეულის გაწვევის წესი

მუხლი 14. რაიონული (საქალაქო) სახალხო მოსამართლის სახალხო მსჯეული შეიძლება გაწვეულ იქნეს იმ კოლექტივის ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა კრების გადაწყვეტილებით, რომლებმაც იგი აირჩიეს.

კრებები ტარდება ამომრჩეველთა სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურეთა კრება — ჯარის ნაწილებში.

კრებებს იწვევენ ამ კანონის მე-2 მუხლში აღნიშნული საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ამომრჩეველთა კრებებს მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით იწვევენ სახალხო დეპუტატთა საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, სამხედრო მოსამსახურეთა კრებას — ჯარის ნაწილთა მეთაურობა.

კრება უფლებამოსილად ითვლება, თუ მასში მონაწილეობს მოცემულ შრომით კოლექტივში მომუშავე, ჯარის ნაწილში მყოფ ამომრჩეველთა უმრავლესობა, ანდა ამომრჩეველთა უმრავლესობა მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

გადაწყვეტილება სახალხო მსაჯულის გაწვევის საკითხებზე მიიღება ღია კენჭისყრით.

კრებაზე აირჩევა პრეზიდიუმი და დგება ოქმი.

მუხლი 15. სახალხო მსაჯულის გაწვევისას ამ კანონის შესრულებას მეთვალყურეობას უწევს სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

მუხლი 16. ამომრჩეველთა კრების ოქმში უნდა აღინიშნოს: ორგანიზაციის ან დასახლებული პუნქტის სახელწოდება, სადაც შედგა კრება; კრების ჩატარების ადგილი და დრო; ამომრჩეველთა საერთო რიცხვი მოცემულ კოლექტივში, დასახლებულ პუნქტში; კრების მონაწილე ამომრჩეველთა რიცხვი; გასაწვევი სახალხო მსაჯულის გვარი, სახელი, მამის სახელი; სახალხო მსაჯულის გაწვევის სასარგებლოდ და წინააღმდეგ მიცემული ხმების რაოდენობა.

ამომრჩეველთა კრების ოქმს ხელს აწერს კრების პრეზიდიუმის ყველა წევრი და იგი დაუყოვნებლივ წარედგინება სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

მუხლი 17. სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი განიხილავს სახალხო მსაჯულის გაწვევის შესახებ კრების ოქმს და თუ გაწვევა ჩატარდა ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით, ამის შესახებ აცნობებს შესაბამისი რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს.

მუხლი 18. სახალხო მსაჯული გაწვეულად ჩაითვლება, თუ გაწვევას ხმა მისცა მოცემული შრომითი კოლექტივის ამომრჩეველთა, ჯარის ნაწილის სამხედრო მოსამსახურეთა, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა ნახევარზე მეტმა.

მუხლი 19. სახალხო მსაჯულის გაწვევის შესახებ კენჭისყრის ჩატარების დროს ამ კანონის დარღვევის თაობაზე საჩივრებს განიხილავს სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშქარაშვილი.**

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

295 საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ საქართველოს სსრ კანონის, „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონისა და „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე

„საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის, „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონისა და „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. „საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონი, „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონი და „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონი შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1982 წლის 1 თებერვლიდან.

2. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს შეუსაბამოს საქართველოს სსრ კანონმდებლობა „საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონს, „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის და „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონს.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებანი შეუსაბამოს „საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონს და „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

296 დეკლარაცია ჯ. ი. პატიავიძის ინფორმაციის თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
ადგენს:

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კანონმდებლობისა და სოციალისტური კანონიერების საკითხების კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ჯ. ი. პატიავიძის ინფორმაცია სოციალისტური საკუთრებისა და მოქალაქეთა პირადი საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულისათვის, უკანონოდ თავისუფლების აღკვეთისათვის, პარაზიტული ცხოვრებისა და ავტომოტოტრანსპორტის საშუალებათა გატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ ბოლო წლებში მიღებულ ბრძანებულებათა გამოყენების პრაქტიკული შედეგების თაობაზე მიღებულ იქნეს ცნობად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშქარაშვილი**.

თბილისი. 1981 წლის 25 ნოემბერი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

297 საქართველოს სსრ სამრეწველო საწარმოებში მუშა-მოსამსახურეთა დათხოვნისას შრომის კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის მდგომარეობის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობის კომისიის ინფორმაციის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
ადგენს:

1. მიღებულ იქნეს ცნობად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობის კომისიის ინფორმაცია „საქართველოს სსრ სამრეწველო საწარმოებში მუშა-მოსამსახურეთა დათხოვნისას შრომის კანონმდებლობის დაცვის მდგომარეობის თაობაზე“.

2. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობის კომისიას თავის საქმიანობაში განუხრელად იხელმძღვანელოს სსრ კავშირის კონსტიტუციის, სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს სსრ კონსტიტუციის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, შრომის კანონმდებლობის მოთხოვნებით, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებით.

3. საქართველოს სსრ პროკურატურამ, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ, საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ შეიმუშაონ რესპუბლიკის სამრეწველო სამინისტროების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა, იურიდიული სამსახურების და კადრების განყოფილებების მუშაკთა მიერ შრომის კანონმდებლობის შესწავლის ქმედითი პროგრამა; უზრუნველყონ ხელმძღვანელი კადრების სამართლებრივი სწავლების ეფექტიანობის ამაღლება.

4. საქართველოს პროფსაბჭომ და მისმა რესპუბლიკურმა დარგობრივმა კომიტეტებმა ქმედითი ზედამხედველობა და კონტროლი გაუწიონ საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ადმინისტრაციის მიერ შრომის კანონმდებლობის მოთხოვნათა განუხრელად შესრულებას; განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ პროფესიული კავშირების საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტების მიერ თავიანთი უფლებამოსილების სრულად გამოყენებას მუშა-მოსამსახურეთა შრომითი დავის გადაწყვეტის დროს.

5. დაევალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებს მიიღონ საჭირო ზომები რესპუბლიკის საწარმოებსა და დაწესებულებებში მუშა-მოსამსახურეთა დათხოვნისას შრომის კანონმდებლობის განუხრელად დასაცავად; მათი დაქვემდებარების ორგანიზაციებში დაამყარონ მტკიცე სახელმწიფო და შრომის დისციპლინა; შრომის კანონმდებლობის დარღვევის თითოეული შემთხვევა გახადონ მსჯელობის საგანი; გააძლიერონ თავიანთ სისტემაში იურიდიული სამსახურების საქმიანობა; მკვეთრად გააუმჯობესონ მშრომელთა სამართლებრივი აღზრდა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1981 წლის 25 ნოემბერი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

298 „საქართველოს სსრ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, ორგანიზაციებისა და თანამდებობის პირთა ალმეზისა და ვიკალები უნახე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 24 ივლისის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სახელმწიფო და საზო-

გადგობრივი ორგანოების, ორგანიზაციებისა და თანამდებობის პირთა მუშაობისა და ვიშპელების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1981 წლის 25 ნოემბერი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

299 „საქართველოს სსრ მოქალაქედ მიღების წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 3 სექტემბრის ბრძანებულება „საქართველოს სსრ მოქალაქედ მიღების წესის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1981 წლის 25 ნოემბერი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

300 „საკოლმეურნეო ბაზრებში ერთჯერადი გამოსაღების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 3 აგვისტოს ბრძანებულება „საკოლმეურნეო ბაზრებში ერთჯერადი გამოსაღების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1981 წლის 25 ნოემბერი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

301 საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები;

1981 წლის 25 სექტემბრისა — „სააღსრულებო საბუთებით გადახდევინების შესახებ მოთხოვნათა დაკმაყოფილების რეგირგობის თაობაზე“;

1981 წლის 30 სექტემბრისა — „საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებათა შეტანის შესახებ“;

1981 წლის 6 ოქტომბრისა — „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 342-ე, 345-ე და 388-ე მუხლებსა და საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 298-ე და 341-ე მუხლებში ცვლილებათა შეტანის შესახებ“;

1981 წლის 11 ნოემბრისა — „საქართველოს სსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.
თბილისი. 1981 წლის 25 ნოემბერი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

302 საქართველოს სსრ ზოგიერთი სახელმწიფო ორგანოს გარდაქმნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცებისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1981 წლის 17 ივლისისა — „საქართველოს სსრ გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს საქართველოს სსრ გაზიფიკაციის რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ“;

1981 წლის 31 აგვისტოსი — „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კიდული ბაგირგზების კვლევის, დაპროექტების, დანერგვის, ექსპლოატაციისა და ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზაციის მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს (საქმთავარბაგირგზა) საქართველოს სსრ სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სახელმწიფო კომიტეტად (საქსახსპექტრანსი) გარდაქმნის შესახებ“;

1981 წლის 28 ოქტომბრისა — „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნავთობპროდუქტების მომარაგება-გასაღების მთავარი სამმართველოს საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის საკავშირო-რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ“;

1981 წლის 5 ნოემბრისა — „საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის კომიტეტის საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის საკავშირო-რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ“.

ამასთან დაკავშირებით შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ“ საქართველოს სსრ 1978 წლის 21 დეკემბრის კანონში:

ა) კანონის 27-ე მუხლს სიტყვების „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საწარმო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტი“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტი, საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტი“;

ბ) კანონის 28-ე მუხლის ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „საქართველოს სსრ რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტებს განეკუთვნებიან საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი, საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი, საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტი და საქართველოს სსრ სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სახელმწიფო კომიტეტი“.

გ) კანონის 29-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის კომიტეტი“ და „საქართველოს სსრ გაზიფიკაციის მთავარი სამმართველო“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.



დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

303 საქართველოს სსრ მთავრობის ზოგადი ფაქტის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1981 წლის 3 აგვისტოსი — „ამხ. ბ. თ. ლობჯანიძის საქართველოს სსრ გზინფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ“;

1981 წლის 31 აგვისტოსი — „ამხ. შ. მ. ორჯონიკიძის საქართველოს სსრ სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სახელმწიფო კომიტეტის (საქსახსპეტრანსი) თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ“;

1981 წლის 28 ოქტომბრისა — „ამხ. ა. ე. უბირიას საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ“;

1981 წლის 5 ნოემბრისა — „ამხ. გ. კ. ლორთქიფანიძის საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის საკავშირო-რესპუბლიკური სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1981 წლის 25 ნოემბერი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

304 დავუბათავის რ. ორაგველიძის, დ. მოსესოვის, ნ. კაკაბაძის, გ. მებონიძის და თ. შიტუხინის შეკითხვის წესით დაყენებულ საკითხზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის დეპუტატ ო. ვარძელაშვილის ინფორმაცია დეპუტატების რ. ორაგველიძის, დ. მოსესოვის, ნ. კაკაბაძის, გ. მებონიძის და თ. შიტუხინის შეკითხვის წესით დაყენებულ საკითხზე მიღებულ იქნეს ცნობად.

2. დაევალეთ საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საქალაქო ონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და სატყეო მეურნეობის სამინისტროებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 15 აპრილის დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად შეარჩიონ კოლექტიური მებაღეობა-მეცხოველეობის განვითარებისათვის საჭირო მიწის ფართობები და სათანადო მასალები წარუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

3. საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა რესპუბლიკის შესაბამის სამინისტროებთან, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებთან ერთად ქმედითი დაზმარება აღმოუჩინონ საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებს მებაღეობა-მეცხოველეობის ამხანაგობათა მუშაობის გასაუმჯობესებლად, გამოყოფილ მიწის ხაკვეთებზე გზების, წყალსადენის, ელექტროქსელებისა და სხვა კომუნიკაციების მოსაწყობად, რათა ამხანაგობებმა უახლოეს პერიოდში აწარმოოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და თავიანთი წკლილი შეიტანონ სკკპ XXVI ყრილობის მიერ დასახული სასურსათო პროგრამის წარმატებით რეალიზაციის საქმეში.

4. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეისწავლოს და მსჯელობის საგანი გახადოს მებაღეობა-მეცხოველეობის ამხანაგობათა საქმიანობა, გამოყოფილი მიწის ნაკვეთების ათვისების მდგომარეობა; დასახოს და განახორციელოს სათანადო ღონისძიებანი კოლექტიური მებაღეობა-მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისა და მისი ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 25 ნოემბერი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

305 დავუბაბ ბ. ბ. ტახოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მცენიერებისა და ტექნიკის კომისიის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

განთავისუფლდეს დეპუტატი ბაგრატ ბესარიონის ძე ტახოვი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მცენიერებისა და ტექნიკის კომისიის წევრის მოვალეობისაგან მისი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ არჩევასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 25 ნოემბერი.

დადგენილება საპარტველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

306 დეპუტატ ნ. ნ. ორჯონიკიძის საპარტველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის წევრის მოვალეობისგან განთავისუფლების შესახებ

